თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

შაბათი
7 სექტემბერი
1940 წ.
№ 208 (5909)
ფასი 10 კაპ.

საქ. ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საზოგადოებრივი მუშაობა— არასამუშაო საათებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებამ არა მარტო საწარმოთა და დაწესებულებათა საწარმოო მუშაობაში შეიტანა დიდი ცვლილებანი, არამედ პარტიული, პროფესიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნაც მოითხოვა. სამუშაო დრო, რომელიც საბჭოთა კავშირის თვითეულმა მოქალაქემ უნდა მოახმაროს წარმოებას ან დაწესებულებას, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაკავებულ იქნას სხვა, თუნდაც უაღრესად საზოგადოებრივ-აუცილებელი საქმით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ცნობილია, დაჰგმო ამ ბოლო დრომდე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც პარტიული, პროფესიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაო დროს ატარებდნენ კრებებს, სხდომებსა და თათბირებს. ასეთ პრაქტიკას დეზორგანიზაცია შეაქვს საწარმოთა და დაწესებულებათა ნორმალურ მუშაობაში, იგი ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ამასთანავე სამუშაო საათებში საზოგადოებრივი მუშაობის ჩატარება ამახინჯებს საზოგადოებრივი მუშაობის თვით დედაარსსა და ბუნებას—ეს მუშაობა არ შეიძლება სწარმოებდეს წარმოების საზიანოდ და წარმოების ხარჯზე, იმ დროის ხარჯზე, რომლისთვისაც საწარმო ან დაწესებულება ხელფასს იძლევა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოსთხოვა, რომ მათ

საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაო დროს არ მოიწვიონ ხოლმე საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებები, სხდომები და ყოველგვარი თათბირები;

არ გამოუძახონ ასეთ სხდომებზე მუშა-მოსამსახურეებს სამუშაო დროს;

არ მოხსნან საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები მიმდინარე კამპანიების ჩასატარებლად ან საშეფო და სხვა მსგავს საქმეებზე მივლინებებში გასაგზავნად;

არ მოსწყვიტონ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები სამუშაო დროს მათს უშუალო სამუშაოს — საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალებით საგამოკვლევო კომისიებსა და ბრიგადებში მონაწილეობის მისაღებად.

პარტიის დირექტივა სავსებით ნათელია: სამუშაო საათები, უკლებლივ, უკანასკნელ წუთამდე, უნდა მოხმარდეს წარმოებას, მთელი საზოგადოებრივი მუშაობა უნდა სწარმოებდეს არასამუშაო საათებში! ყოველი პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა ზუსტად გაატაროს ეს დირექტივა ცხოვრებაში.

მაგრამ არის სიგნალები იმის შესახებ, რომ სამუშაო დროს წარმოებისაგან მუშა-მოსამსახურეთა მოწყვეტა ჯერ კიდევ გრძელდება. ზოგიერთ რაიონში ეს პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი სანქციით ხდება. ჩვენი ირკუტსკელი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ პარტიის ჩერემხოვის საქალაქო კომიტეტი კვლავ განაგრძობს წარმოებიდან კომუნისტების გამოძახებას თავის სხდომებზე, რომლებიც სამუშაო დროს ეწყობა. ამ სხდომებზე დასასწრებლად ჩერემხოვის პარტიული ორგანიზაციის წევრი მუშები და მოსამსახურენი ხარჯავენ ათასობით სამუშაო საათებს, რომლებიც წარმოებას ეკუთვნის. აქ, ჩერემხოვის საქალაქო კომიტეტში ძველი ჩვეულების მიხედვით განაგრძობენ ამხანაგების გამოძახებას სამუშაო საათებში — პირადი საქმეების გასაფორმებლად, პარტიული დოკუმენტების მისაღებად და ა. შ., თითქოს არ შეიძლებოდეს იგივე გაკეთდეს საღამოთი. გაკვირვებას იწვევს ჩერემხოვის ბევრი სამეურნეო მუშაკის პოზიცია: ისინი წინააღმდეგობას არ უწევენ საქალაქო კომიტეტის მავნე პრაქტიკას და გულგრილად უყურებენ მათი ხელმძღვანელობით მომუშავე საწარმოებიდან მუშა-მოსამსახურეთა წასვლას სამუშაო დროს. პარტიის ჩერემხოვის საქალაქო კომიტეტის მიერ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივის უხეში დარღვევა სრულიად შეუწყნარებელია და გადაჭრით დაგმობილ უნდა იქნას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კატეგორიულად აკრძალა საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა მოხსნა სხვადასხვა კამპანიების ჩასატარებლად ან საშეფო და სხვა მსგავს საქმეებზე მივლინებებში გასაგზავნად. მიუხედავად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ პირდაპირი მითითებისა, საკ. კ. პ. (ბ) ბოგოტოლის რაიკომმა (კრასნოიარსკის მხარე) მობილიზაცია უყო სადგურ ბოგოტოლის 50 რკინიგზელს და რაიონის კოლმეურნეობებში გაგზავნა ისინი რწმუნებულებად მოსავლის აღების ხაზით. აქაც გაკვირვებას იწვევს რკინიგზის სადგურ ბოგოტოლის ადმინისტრაციის პოზიცია: იგი ისევე, როგორც ჩერემხოვის ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი, გულგრილად დაეთანხმა. უკანონობას, შესრულდა რა ბოგოტოლის რაიკომის არასწორი მოთხოვნა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოა. უნდა ვიფიქროთ, რომ საკ. კ. პ. (ბ) კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტი წესრიგისაკენ მოუწოდებს ბოგოტოლის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომლებიც აღმაშფოთებელ უკანონობას სჩადიან, გააკეთებს საჭირო დასკვნებს იმ ფაქტებიდან, რომ ბოგოტოლის რაიკომმა დაარღვია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დირექტივები.

თვითეული პარტიული ორგანიზაციის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ თვითონ სასტიკად დაიცვას ცენტრალური კომიტეტის დირექტივები და არ მოსწყვიტოს წარმოებას მუშა-მოსამსახურენი, არამედ იმაშიც, რომ ფართოდ განუმარტოს ყველა მშრომელთ, რომ მთელი მათი საზოგადოებრივი მუშაობა, რომელსაც პარტია ყოველმხრივ უწყობს ხელს და ახალისებს, შეიძლება სწარმოებდეს და უნდა სწარმოებდეს კიდეც მხოლოდ არასამუშაო საათებში.

საზოგადოებრივი მუშაკი, ადამიანი, რომელიც ნამდვილად მიისწრაფვის მთელი თავისი ძალღონე და ცოდნა მოახმაროს იმ ორგანიზაციის — პროფესიული კავშირის, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის, თავდაცვა-ავიაქიმის და ა. შ.—წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებას, სადაც იგი წევრად ირიცხება,—არის არა ის, ვინც სამუშაო საათებში უკანონოდ „წაჰგლეჯს“ ხოლმე დროს ამა თუ იმ დავალებათა შესასრულებლად. არა, ეს არ არის საზოგადოებრივი მუშაკი. ვინაიდან ის არსებითად იპარავს იმ დროს, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უნდა ახმარდეს. ნამდვილი საზოგადოებრივი მუშაკი ის არის, ვინც თავისი სამსახურებრივი, საწარმოო ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების შემდეგ პოულობს დროს იმ პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობისათვის, რომლის წევრადაც იგი ირიცხება. ხოლო დრო ჩვენს მოქალაქეს, საბჭოთა ადამიანს ბევრი აქვს. ჩვენში არის მსოფლიოში ყველაზე მოკლე, რვასაათიანი სამუშაო დღე. წარმოებაში, სამსახურში რვა საათის შრომის შემდეგ, ყოველ მოქალაქეს რჩება, სულ ცოტა, რვა საათი პირადი საქმეებისათვის და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

საზოგადოებრივი საქმიანობა ჩვენი სამშობლოს მილიონობით მშრომელთა ყოფაცხოვრებაში შევიდა. ვერცერთ მოწინავე ადამიანს — მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს — ვერ წარმოუდგენია ცხოვრება საზოგადოებრივი მუშაობის გარეშე. ამაშია მუშათა და მოსამსახურეთა სახელმწიფოს ძლიერების წყარო, ამით აიხსნება ის უდიდესი გაქანება, რომელიც მიიღო საზოგადოებრივმა მუშაობამ სოციალიზმის ქვეყანაში. ყოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანია ჩვენში დიდი აღმავლობით მიმდინარეობს იმიტომ, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ აპარატს, რომელიც ამ კამპანიას აწყობს, მილიონობით საბჭოთა ადამიანები ეხმარებიან. ამის ილუსტრირება ძნელი არ არის, ვთქვათ, ისეთი საყოველთაო-სახალხო კამპანიების მაგალითებით, როგორიცაა უმაღლესი საბჭოების არჩევნები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, სახელმწიფო სესხების განაწილება და ა. შ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს ორგანიზაციულ და სააგიტაციო მუშაობაში 10 მილიონზე მეტი მშრომელი იღებდა მონაწილეობას.

მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა და თვითმოქმედება კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე ახლა არის, რომ ამას ხელს არ უშლიდნენ უაღრესად სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში და უწინარეს ყოვლისა — გაბერილი აპარატები. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხილა ის შეუწყნარებელი მდგომარეობა, როდესაც პროფკავშირებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაბერვა ხელფასიანი აპარატისა, რომელშიც ცოტანი კი არ იყვნენ მუქთახორები და უქნარები, ხელს უშლიდა მშრომელთ, ამ ორგანიზაციების წევრთ, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მათს მუშაობაში.

პროფესიულმა კავშირებმა, კომკავშირმა და სხვა მასობრივმა უპარტიო ორგანიზაციებმა და საზოგადოებებმა ჩაატარეს და ატარებენ საშტატო აპარატის გადამწყვეტ შემცირებას. ეს იწვევს ამ ორგანიზაციებში შემავალ მშრომელთა საყოველთაო მოწონებას. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შტატის მუშაკთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება შლის ფართო პერსპექტივებს და კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ მილიონობით მშრომელნი, ამ ორგანიზაციების წევრნი, ჩაბმულ იქნან ნამდვილ, დიდ, პასუხსაგებ საზოგადოებრივ მუშაობაში.

საწარმოებსა და დაწესებულებებში პარტიული, პროფესიული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის იმგვარად გარდაქმნა, რომ მასობრივი ღონისძიებანი — კრებები, თათბირები, სხდომები — არასამუშაო საათებში ტარდებოდეს, აქა-იქ წინააღმდეგობას ხვდება. ზოგიერთ პროფკავშირულ მოღვაწეს, და ზოგიერთ პარტმუშაკსაც ვერ დაუძლევია არასამუშაო საათებში სხდომების მოწვევის ჩვევა. ამ ამხანაგებს, რომლებიც ცდილობენ გვერდი აუარონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, დაარღვიონ ეს დირექტივები, დაუყოვნებლივ უნდა მოვუწოდოთ წესრიგისაკენ. ბევრი რამ დამოკიდებულია სამეურნეო მუშაკებზე, დაწესებულებათა ხელმძღვანელებზე. მათ არ უნდა დაუშვან, რომ საწარმოებსა და დაწესებულებებში კრებები და თათბირები სამუშაო დროს ტარდებოდეს. ლიბერალობა არ უნდა გამოვიჩინოთ იმათ მიმართ, ვინც შეეცდება ჩაატაროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებები და თათბირები სამუშაო საათებში, წინააღმდეგ კანონისა, წინააღმდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა! ბოლშევიკი სამეურნეო მუშაკი, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს საწარმოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან „მეგობრულ“ ურთიერთობაზე უფრო მაღლა აყენებს და მზად არის ბოლშევიკურად იბრძოლოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის, სამუშაო დროის თვითეული წუთისათვის, არ დაუშვებს, რომ სამუშაო დროს საწარმოში იკრიბებოდეს თათბირები, კრებები, ვისი სანქციითაც არ უნდა ტარდებოდეს ისინი.

„პრავდის“ მოწინავე, 5/IX.

საქდესის ცნობა

იაპონური გაზეთი „ხოცი“ ავრცელებს ცნობას იმის შესახებ თითქოს აგვისტოს ბოლოს შემდგარიყოს ამხანაგ სტალინისა და გერმანიის ელჩის გრაფ შულენბურგის საუბარი სსრ კავშირსა, გერმანიასა, იტალიასა და იაპონიას შორის შეთანხმების დადების საკითხზე და ანტიკომინტერნული პაქტის გაუქმების შესახებ.

საქდესს რწმუნება აქვს განაცხადოს, რომ გაზეთი „ხოცის“ ყველა ეს ცნობა თავიდან ბოლომდე მოჭორილია, ვინაიდან ამხანაგ სტალინს უკანასკნელი ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში არ ჰქონია არავითარი შეხვედრა ბ-ნ შულენბურგთან.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

1940 წლის 5 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ტერიტორიიდან გერმანელი ეროვნების პირთა გერმანიის ტერიტორიაზე ევაკუაციის შესახებ.

ამ შეთანხმების თანახმად, გერმანელი ეროვნების პირებს, რომლებიც სურვილს გამოსთქვამენ, შეუძლიათ თავისუფლად გაემგზავრონ გერმანიის ტერიტორიაზე შეთანხმებით დადგენილი წესისამებრ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა მთავრობის დელეგაციის თავმჯდომარემ ა. პ. ვასიუკოვმა და გერმანიის მთავრობის დელეგაციის თავმჯდომარემ გ. ვ. ნელდეკემ.

გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

ხაშური, 3 სექტემბერი (საქდესი). ხაშურის რაიონმა უკვე შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. დამზადებულია 892 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, რაც გეგმის 109,1 პროც. უდრის. სოფ. იტრიის კოლმეურნეობამ აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა 170 პროც. შეასრულა, ჯაფინაურისამ — 150 პროც., ტეზერისამ—139 პროც., და ა. შ.

პურგა რუდოლფის კუნძულზე

რუდოლფის კუნძული. 5 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში მძვინვარებდა პურგა. ტემპერატურა მინუს 3 გრადუსამდე დაეცა. ყველაფერი თეთრად გადაიპენტა. ქარძრავი სრული დატვირთვით მუშაობს და სინათლისა და სითბოს წყაროდ აქცევს ქარის მუქთ ენერგიას. ერთი თვის შემდეგ კუნძულზე სასტიკი პოლარული ღამე დადგება.

5 სექტემბერი (საქდესი).

გაზის უდიდესი ქარხანა

ლენინგრადი. ლენინგრადის მახლობლად დაიწყო გაზის ქარხნის მშენებლობისათვის მზადება. სიმძლავრის მხრივ ეს ერთერთი უდიდესი საწარმოო იქნება საბჭოთა კავშირში. იგი გამოიმუშავებს გაზს საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. ქარხანა მოგვცემს გაზს ისეთი რაოდენობით, რაც საკმარისია ლენინგრადის ყველა საცხოვრებელი სახლის მეოთხედის გაზიფიკაციისათვის. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნების ქ. თბილისში ჩვენების მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების საქმეში შესანიშნავი წარმატებებისათვის:

1. მიენიჭოს საპატიო სახელწოდებანი ხელოვნების შემდეგ მუშაკებს

ა) საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება:

ვიქტორ ლევანის-ძე **მურღულიას**—სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს;

მუხარბეგ საფარის-ძე **ტუგანოვს** — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო თეატრის მთავარ მხატვარს;

ბორის ალექსანდრეს-ძე **გალაევს** — სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს და კომპოზიტორს;

ბ) საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო თეატრის მსახიობებს:

ივანე ათანასეს-ძე **ძახოვს,**
ნინო ზაქარიას-ასულ **ჩაბიევას,**
მიხეილ პავლეს-ძე **შავლოხოვს,**
დიმიტრი ილიას-ძე **მამიევს,**

2. დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით:

ა) სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო თეატრის მუშაკები:

მიხეილ ვლადიმერის-ძე **ბიდეევი** — მსახიობი,
ნინო გიორგის ასული **გაბაევა-ბელეცკაია** — მსახიობი,
გიორგი გრიგოლის-ძე **გუბიევი** — მსახიობი,
ოლღა ივანეს-ასული **აბაევა** — მსახიობი,
ზურაბ ზურაბის-ძე **ტუაევი** — მსახიობი,
ალექსანდრე ანდრიას-ძე **გუგკაევი** — მსახიობი,
გერასიმე ათანასეს-ძე **კოროევი** — მსახიობი,
ბორის თედორეს-ძე **ანდიევი** — მსახიობი,
მარიამ დავითის-ასული **მელკუევა** — მსახიობი,
ხაჯიმურად ურუსის-ძე **ალიკოვი** — მსახიობი,
სტეფანე იაკობის-ძე **კრიხელი** — მსახიობი,
ვლადიმერ ზაურბეკის-ძე **კაიროვი** — მსახიობი,
ნინო ზაქარიას-ასული **ჩოჩიევა** — მსახიობი,
სტეფანე ივანეს-ძე **გაზაევი** — მსახიობი,
ალექსანდრე ბორისის-ძე **ხასიევი** — მსახიობი,
დიმიტრი ვასილის-ძე **პარასტაევი** — მსახიობი,
ილია თადეოზის-ძე **კარმაზოვიჩი** — დრამატურგი,
ალიხან ტიმოთეს-ძე **მაკაევი** — დრამატურგი,
პოპანბეკ რომანის-ძე **გაზდანოვი** — თეატრის მხატვარი,
ნიკოლოზ ივანეს-ძე **გუდიაშვილი** — დირიჟორი,
ხარზენ კუზას-ძე **კოჩიევი** — თეატრის მონტიორი,

ბ) სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მონაწილენი:

კონსტანტინე ივანეს-ძე **კასაბიევი,**
ალექსანდრე ესტატეს-ძე **კულუმბეგოვი,**
ვალენტინა ელმურზას-ასული **ჯელიევა,**
ბორის ალექსანდრეს-ძე **ცხოვრებოვი,**
ზინაიდა პეტრეს-ასული **პლიევა,**
აკიმ ეფრემის-ძე **ჯიკაევი,**
გრიგოლ ნიკოლოზის-ძე **პლიევი,**
არჩილ ივანეს-ძე **მაისურაძე,**
ჩერმენ კონსტანტინეს-ძე **აბაევი,**

გ) ინალ უმარის-ძე **ძანტიევი** — მოქანდაკე.

პოლიკარპე ლევანის-ძე **მურღულია** — რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. დელბა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი, 6 სექტემბერი 1940 წ.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნების ქ. თბილისში ჩვენების მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნების ქ. თბილისში ჩვენების მომზადებისა და ჩატარების ხარჯები მიღებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

2. მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნების ქ. თბილისში ჩვენების მონაწილეებს პრემია ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

3. მიეცეს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ ხელოვნების განყოფილებას სათანადო თანხა პრემიების გასაცემად.

4. შეტანილ იქნას 1941 წლის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმაში საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. სტალინირში სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების მუშაკებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ვ. ბაქრაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—ი. რუხაძე

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტაქტიკური ვარჯიშობა

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი, 4 სექტემბერი (საქდესი). ამ დღეებში დამთავრდა წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტაქტიკური ვარჯიშობა. ვარჯიშობას, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, დაესწრნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, მთავარი საზღვაო შტაბის უფროსი, ადმირალი ლ. მ. გალერი, წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი ვ. ფ. ტრიბუცი, წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრი, დივიზიის კომისარი მ. გ. იაკოვენკო და უმაღლესი საზღვაო სარდლობის სხვა წარმომადგენლები.

პირველ ხანებში ვარჯიშობა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. ქარი 7 ბალს აღწევდა. მცირე გემები საგრძნობლად ირწეოდნენ. მაგრამ სამხედრო მეზღვაურებს ესმით, რომ ქარიშხლიანი ამინდი ნორმალურ პირობებს უნდა წარმოადგენდეს საბრძოლო მომზადების წარმოებისათვის. მეთაურები, პოლიტმუშაკები და წითელფლოტელები, მიუხედავად ნაოსნობის ძნელი პირობებისა, წარმატებით ასრულებდნენ სარდლობის ყველა საბრძოლო დავალებას.

სახალხო კომისარი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, რომელმაც თავისი ბაირაღი აღმართა სახაზო გემზე „ოქტიაბრსკაია რევოლუციაზე“, განუწყვეტლივ ადევნებდა თვალყურს ვარჯიშობის მიმდინარეობას, აღნიშნავდა მეთაურთა უნარიან და გაბედულ მოქმედებას, აგრეთვე ზოგიერთი რგოლის ცალკეულ შეცდომებს და არაზუსტ მუშაობას. საბრძოლო ვარჯიშობის დამთავრების შემდეგ წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის გემები ტალინის რეიდზე დადგნენ. მათს ზედა გემბანებზე წითელფლოტელები და მეთაურები ჩამწკრივდნენ. რეიდზე გამოდის სწრაფმავალი კატარღა. კატარღაში არიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ნ. გ. კუზნეცოვი და უმაღლესი საზღვაო სარდლობის წარმომადგენელნი. დაიწყო პარადი. კატარღამ გემების მწკრივს ჩამოუარა. სახალხო კომისარი სალამს აძლევს წითელფლოტელებს და მეთაურებს.

გემების ჩამოვლის შემდეგ სახალხო კომისრის კატარღა სახაზო გემ „მარატთან“ მიდის. პარადი დამთავრებულია. მან ცხადჰყო ფლოტის ძლიერება, ცხადჰყო რომ მთელი პირადი შემადგენლობა მზად არის შეასრულოს თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

ტალინში სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახლში მოხდა ვარჯიშობის გარჩევა. გარჩევის დროს გამოვიდა სახალხო კომისარი ამხ. კუზნეცოვი, რომელმაც შეაფასა ვარჯიშობა. მან დაწვრილებით გარჩია იმ ძალების მოქმედება, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ვარჯიშობაში, ამომწურავი ანალიზი გაუკეთა პირადი შემადგენლობის ყველა რგოლის მუშაობას და ვარჯიშობის გარჩევის ყველა მონაწილის წინაშე გადაშალა ფლოტის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის საჭირო შემდგომ ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა.

საბჭოთა ესტონეთისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

ტალინი. ტალინში დაიხურა მოსკოველი ფოტოოსტატების ნ. პეტროვისა და ვ. ტემინის ნაშრომთა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ესტონეთის სს რესპუბლიკის შესვლას საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში. ორი კვირის განმავლობაში გამოფენა 25 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

ფოტოგამოფენა გადაღებულია კინოაფსკზე. მთავრობის გადაწყვეტილებით იგი მოძრავ გამოფენად გადაიქცევა, რომელიც მომსახურებას გაუწევს ესტონეთის ქალაქებს. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 143^2 მუხლის ცვლილების შესახებ

„სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისა და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 10 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 143^2 მუხლში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 111, 1934 წ. № 5, მუხ. 65) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მუხლის 1-ლი ნაწილი გამოიხატოს შემდეგნაირად:

„143^2. ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება და სავალდებულო სტანდარტების დარღვევით პროდუქციის გამოშვება გამოიწვევს სამრეწველო საწარმოთა დირექტორების, მთავარი ინჟინრებისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსებისათვის — საპატიმროში მოთავსებას ვადით ხუთი წლიდან რვა წლამდე“.

2. მუხლის მე-3 ნაწილი ამოიშალოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. დელბა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი
1940 წ. 30 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„შრომის გმირთა შესახებ“ დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლების ცვლილების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა „იმ შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ, რაც ენარჩუნებათ სსრ კავშირის ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1927 წ. 27 ივლისის დადგენილების საფუძველზე შრომის გმირის სახელწოდებამინიჭებულ პირთ“, შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 8 ივნისის № 147/699 დადგენილებაში „შრომის გმირთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 16, მუხ. 95):

1. ამოღებულ იქნას მე-6 მუხლის პირველი აბზაცის ბოლო წინადადება: „უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს დაქირავებით მუშაობას, მას ეძლევა ნახევარი პენსია“.

2. მე-7 მუხლი გამოიხატოს შემდეგნაირად:

„7. უკეთუ შრომის გმირი გარდაიცვალა, მის რჩენაზე მყოფ მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან „სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიებისა და დახმარებების დებულების“ მე-5 მუხლში (სსრკ კან. კრ. 1930 წ. № 11, მუხ. 132), მიეცემათ პენსია: როდესაც უზრუნველსაყოფია სამი ან მეტი პირი, — შრომის გმირის სრული პენსია, როდესაც ორი პირია — ორი მესამედი და როდესაც ერთი პირია — ნახევარი პენსია.

ასეთივე რაოდენობის პენსია მიეცემათ იმ გარდაცვლილი შრომის გმირის ოჯახის წევრებს, რომელსაც პენსია არ ეძლეოდა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. დელბა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

თბილისი
1940 წ. 30 აგვისტო.

თბილისი

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას

ლიტვის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გულწრფელ მადლობას გწირავთ ახალგაზრდა მოკავშირე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისადმი მხურვალე მისალმებისა და გამოხმაურებისათვის, რაც თქვენი გაზეთის — „ზარია ვოსტოკას“ მეშვეობით იქნა მიღებული საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებისაგან სტალინური კონსტიტუციის მიღებასთან, სტახანოვური მოძრაობის წლისთავთან და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

იმის შეგნება, რომ ლიტველი ხალხის გული სძგერს სს რესპუბლიკათა დიადი კავშირის ხალხთა გულთან ერთად, რომლებიც სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდიან, — ახალ ენერგიას გვმატებს ჩვენს მუშაობაში.

იუსტას პალეცკისი,

ლიტვის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მეტალურგთა საკავშირო შეჯიბრება

პირველი ორი თვის შედეგები

შეჯამებულია მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ივლის-აგვისტოს განმავლობაში. მიღწეულია ახალი საწარმოო წარმატებანი. ივლისთან შედარებით თუჯის გამოდნობა გაიზარდა 6,6 პროცენტით, ფოლადისა — 3,8 პროცენტით.

შეჯიბრებაში წამყვანი ადგილი უკავიათ: კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატს, მოსკოვის ლენინის ორდენოსან ქარხანა „სერპ ი მოლოტს“ და ქარხანა „ელექტროსტალს“, რომლებმაც გეგმა შეასრულეს მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით.

შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში არიან კუზნეცკის კომბინატის მებრძმედეები. მათ 102,2 პროცენტით შეასრულეს გეგმა და მიაღწიეს ბრძმედების მოცულობის გამოყენების კოეფიციენტს 0,86 მთლიანად აღებულ საამქროში.

კარგად მუშაობენ ნიჟნე-სერგინსკის ქარხნის მებრძმედეები, რომლებმაც 124 პროცენტით შეასრულეს გეგმა. ნოვოლიპეცკის ქარხნის მებრძმედეებმა ორი თვის განმავლობაში 104 პროცენტით შეასრულეს გეგმა. ბრძმედების მოცულობის გამოყენების კოეფიციენტმა აქ 1,10-ს მიაღწია მაშინ, როცა გეგმით უნდა იყოს 1,14. კოქსის ხარჯვაც გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლებია.

ჩამორჩენილთა შორის არიან: ძერჟინსკის სახელობის, ფრუნზეს სახელობის, ვოიკოვის სახელობის, ნოვო-ტულის, აშინსკის ქარხნებისა და სხვ. საბრძმედე საამქროებში. აგვისტოში მუშაობა გააუარესეს „ზაპოროჟსტალის“, მაგნიტოგორსკის მებრძმედეებმა.

მეფოლადეთა შორის პირველ ადგილზეა კუზნეცკის სტალინის სახელობის კომბინატის № 2 მარტენის საამქროს მეფოლადეთა კოლექტივი, რომელმაც აგვისტოში 101,4 პროცენტით შეასრულა გეგმა. მთლიანად კომბინატმა ფოლადის გამოდნობის გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულა.

წარმატებით მუშაობენ მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეფოლადენი. შეჯიბრების ორი თვის განმავლობაში გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ქარხანა „ელექტროსტალის“ № 2 საამქროს მეფოლადეებმა. კარგი მაჩვენებლები აქვთ: ზაპოროჟიეს ელექტრომეტალურგიული ქარხნის, ლენინის ორდენოსანი ქარხნის „კრასნი ოქტიაბრის“ № 2 მარტენის საამქროს, კომინტერნის სახელობის ქარხნის, ნიჟნე-სალდინსკის ქარხნისა და სხვ. მეფოლადეებს.

აგვისტოში უკეთ იწყეს მუშაობა მაკეევკის კიროვის სახელობის № 1 საამქროს, კრამატორსკის კუიბიშევის სახელობის ქარხნის მეფოლადეებმა.

საგლინავ საამქროთა შორის, გარდა კუზნეცკის სტალინის სახელობის კომბინატისა, მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტისა“ და „ელექტროსტალისა“ წინ არიან აგრეთვე ტაგანროგის ანდრეევის სახელობის ქარხნისა და დობრიანსკის ქარხნის კოლექტივები.

ცუდად მუშაობენ ქარხანა „ზაპოროჟსტალის“, ვოიკოვის სახელობის, ლიბკნეხტის სახელობის, ძერჟინსკის სახელობის, კიროვის სახელობის ქარხნების მგლინავები. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

იტალია უარჰყოფს

ბერლინი, 6 სექტემბერი (საქდესი). როგორც საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, ინგლისის რადიო ავრცელებს ხმებს, რომელთა თანახმად რუზველტის პირად წარმომადგენელს ვატიკანში ტეილორს, რომელიც მალე ჩავა ვაშინგტონში, რწმუნება აქვს გადასცეს იტალიის საზავო წინადადებანი. ამის გამო იტალიის ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს ტენდენციური ხმები სინამდვილეს არ შეეფერება. იტალია არ ჰფიქრობს საზავო წინადადების მიცემას. მან გადასწყვიტა განაგრძოს ომი საბოლოო გამარჯვებამდე. ჰიტლერის გამოსვლა საუკეთესოდ ადასტურებს ღერძის სახელმწიფოთა ნამდვილ განზრახვას.

ტრანსილვანიის ევაკუაცია

ბუქარესტი, 6 სექტემბერი (საქდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს რუმინეთის გენერალური შტაბის 5 სექტემბრის ცნობას, რომელშიც ნათქვამია: „დღეს მოხდა ტრანსილვანიის პირველი ზონის ევაკუაცია შემუშავებული გეგმის შესაბამისად. ჩვენი ჯარი იმყოფება ფილინდრუ-არდედ-აპაბლიდარი-ბრები - ვისეულ-ცე-ჟოსის ხაზზე. ევაკუაცია ჩატარდა წესიერად და ყოველგვარი ინციდენტის გარეშე. შემუშავებული გეგმის შესაბამისად მოხდა აგრეთვე სამხედრო მასალის ევაკუაცია“.

უნგრეთის ჯარი შევიდა სიგეტსა და სატმარში

ბერლინი, 6 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს უნგრეთის არმიის შტაბის უფროსის ცნობას, რომ უნგრეთის ჯარი სატმარსა (სატულ-მარე) და სიგეტში შევიდა.

მზრალად ხვნის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

1940 წლის 5 სექტემბერი

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ მზრალად ხვნის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას: 1940 წლის 1 სექტემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით მთლიანად რესპუბლიკაში მზრალად მოხნულია მხოლოდ 13.793 ჰექტარი, ანუ გეგმის 8,1 პროცენტი.

მზრალად ხვნის ტემპები საგრძნობლად ჩამორჩება გასული წლის ტემპებს, როდესაც ამ ვადისათვის მოხნული იყო 19,873 ჰექტარი.

უკანასკნელი ხუთდღიურის განმავლობაში (25 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე) მზრალად მოხნულია მხოლოდ 3.500 ჰექტარი იმ დროს, როდესაც მზრალად ხვნის გეგმის ვადაზე შესრულების უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობებში ყოველ ხუთდღიურში უნდა მოხნულ იქნას არანაკლებ 10 ათასი ჰექტარისა.

მზრალად ხვნის საქმეში განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა აქვთ: თელავის რაიონს, რომელმაც გეგმა შეასრულა მხოლოდ 0,5 პროცენტით, ყვარლის რაიონს — 3,6 პროც., მცხეთის რაიონს — 3,8 პროც., ახალქალაქისას—3,7 პროც., ლუქსემბურგისას—3,7 პროც. ბორჩალოსას — 4,5 პროც., კასპისას— — 4,2 პროც., საგარეჯოს რაიონს— 5 პროცენტით.

ლაგოდეხის, თბილისის, ყარაიის, ბაშკიჩეთის, დუშეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონები 1 სექტემბრისათვის ჯერ კიდევ არ შესდგომიან მზრალად ხვნას.

არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობა: მთელ რიგ მტს-ებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მოვლის ცუდად დაყენების შედეგად დიდძალი ტრაქტორი ცდება (მცხეთის მტს-ში არ მუშაობს 15 ტრაქტორი, გორის მტს-ში—14, ყარაიის მტს-ში—2 ტრაქტორი და სხვ.). 86,6 ათას ჰექტარ საერთო გეგმიდან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ მოხნულია მხოლოდ 9478 ჰექტარი, ანუ გეგმის 10,9 პროცენტი.

სრულიად არასაკმაოა კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენება მზრალად ხვნისათვის: 1 სექტემბრისათვის კოლმეურნეობათა მიერ მზრალად მოხნულია მხოლოდ 4315 ჰექტარი, ანუ ცოცხალი გამწევი ძალით მზრალად ხვნის დაწესებული გეგმის 5,1 პროცენტი.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ საქ. კ. პ. (ბ) მთელი რიგი რაიკომები და რაიაღმასკომები, მტს-ების დირექტორები და კოლმეურნეობათა გამგეობები არ ითვალისწინებენ მიმდინარე წლის შემოდგომის არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს (გვალვა) და სათანადო ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ მოაწყონ ამორჩევითი ხვნა საშემოდგომო თესვისათვის და მზრალად ხვნა, რითაც აჭიანურებენ საშემოდგომო კულტურების თესვის ვადებს და საფრთხეს უქმნიან მზრალად ხვნის სამუშაოთა თავის დროზე შესრულებას.

მიაჩნიათ რა შეუწყნარებლად საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის სამუშაოების შემდგომი გაჭიანურება, რომელთა თავის დროზე ჩატარება მეტწილად წინასწარ განსაზღვრავს 1941 წლის მოსავლიანობას, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 3 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, დაწესდეს მზრალად ხვნის დამთავრების შემდეგი დიფერენცირებული ვადები:

ა) ბოგდანოვკის, ახალქალაქის, წალკის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ბაშკიჩეთის, დუშეთისა და თიანეთის რაიონებისათვის აგრეთვე ალბულაღის რაიონის მთაგორიანი ნაწილისა და სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქისათვის — 1940 წლის 20 ნოემბრამდე;

ბ) საქართველოს სს რესპუბლიკის დანარჩენი რაიონებისათვის—1940 წლის 5 დეკემბრამდე.

2. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს შეამოწმონ სატრაქტორო პარკის ტექნიკური მდგომარეობა, დაუყოვნებლივ მოაწყონ ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტი მინდვრად, ამასთან მთელი მუშაობა პარკის რემონტის ხაზით დაამთავრონ არაუგვიანეს ა. წ. 15 სექტემბრისა.

საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომმა გაჰგზავნოს მტს-ებში სპეციალისტები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ მათ მინდვრად რემონტის ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში.

3. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომსა და მტს-ების დირექტორებს საშემოდგომო ხვნისა და თესვის, აგრეთვე პლანტაჟის მოხვნის გეგმის შესრულების უცილობლივ უზრუნველყოფასთან ერთად, გამოჰყონ ტრაქტორები, უმთავრესად მუხლუხა ტრაქტორები, მზრალად ხვნისათვის, ამასთან მზრალად ხვნის დამთავრების ვადების საფუძველზე თვითეული ტრაქტორისათვის, რომელიც მზრალად ხვნაზე მუშაობს, დააწესონ ჰექტარების რაოდენობა, რაც შესრულებულ უნდა იქნას შემოდგომის პერიოდში.

როგორც კი ტრაქტორები საშემოდგომო ხვნისა და თესვის, აგრეთვე პლანტაჟის სამუშაოებისაგან განთავისუფლდება, დაუყოვნებლივ გადაიყვანონ ისინი მზრალად ხვნაზე, იმ ანგარიშით, რომ აუცილებლად იქნას უზრუნველყოფილი მზრალად ხვნის გეგმის შესრულება ამ დადგენილებით დაწესებულ ვადებში.

4. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს და რაიაღმასკომებს შეამოწმონ და ერთი დეკადის ვადაში მოიყვანონ სრულ მზადყოფნაში კოლმეურნეობათა ყველა გუთანი, ამასთან მზრალად ხვნის სამუშაოებისათვის გამოჰყონ გუთნების მაქსიმალური რაოდენობა.

ამასთან ერთად კოლმეურნეობათა მთელი ცოცხალი გამწევი ძალა, რომელიც თავისუფალია საშემოდგომო ხვნისა და თესვის სამუშაოებისაგან, გადაიყვანონ მზრალად ხვნაზე და, მზრალად ხვნის სამუშაოთა დამთავრების ვადების საფუძველზე, დააწესონ თვითეულ კოლმეურნეობაში ცალკე თვითეული გუთნისათვის ჰექტარების რაოდენობა, რაც ამ გუთნით მოხნულ უნდა იქნას შემოდგომის პერიოდში.

5. დაწესდეს თვითეული ტრაქტორითა და ცოცხალი გამწევი ძალით მზრალად ხვნის შემდეგი დღიური ნორმები, რაც განაწილდეს რაიონებისა და მტს-ების მიხედვით, თანახმად დანართისა.

დაევალოს მტს-ების დირექტორებს უზრუნველჰყონ ტრაქტორების მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობა მზრალად ხვნაზე, გააძლიერონ ტექნიკური ხელმძღვანელობა ტრაქტორების მუშაობისადმი და არ დაუშვან სატრაქტორო პარკის გაცდენა.

6. როდესაც კოლმეურნეები დანიშნულ ვადაში შეასრულებენ ცოცხალი გამწევი ძალით მზრალად ხვნის მათთვის დაწესებული ჰექტარების ოდენობას, კოლმეურნეობათა გამგეობებმა დაარიცხონ მათ შრომა-დღეები ერთნახევარი რაოდენობით, ხოლო ამის გადამეტებით მოხნულ თვითეულ ჰექტარში—დაარიცხონ შრომა-დღეები ორმაგი რაოდენობით, კოლმეურნეობაში არსებულ შეფასებასთან შედარებით.

7. დაევალოს მტს-ების დირექტორებს დაარიცხონ იმ ტრაქტორისტებს, რომლებმაც დანიშნულ ვადებში შეასრულეს მზრალად ხვნის დავალება ტრაქტორზე, წანამატები მათ მიერ მზრალად ხვნის სამუშაოზე გამომუშავებული შრომა-დღეების 20 პროცენტის რაოდენობით, ხოლო დაწესებული ოდენობის გადამეტებით შესრულებული ჰექტარებისათვის დაარიცხონ შრომა-დღეები ერთნახევარი რაოდენობით.

8. დაწესდეს, რომ მტს-ების დირექტორებს, უფროს აგრონომებსა და უფროს მექანიკოსებს, თუ ისინი ამ დადგენილებით დაწესებულ ვადებში შეასრულებენ ტრაქტორებით მზრალად ხვნის გეგმას, მიეცემათ პრემია ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

9. დაევალოს მტს-ების დირექტორებსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, მუშაობის შემოდგომის პირობებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ტრაქტორისტები სატრაქტორო ბრიგადებში და კოლმეურნეები, რომლებიც გუთნებით მუშაობენ, უზრუნველყოფილ იქნან პატარა ვაგონებით, ხოლო იქ, სადაც ასეთი ვაგონები არა აქვთ, დახურული სადგომებით, ფარდულების, კარვებისა და სხვა უბრალო გადახურული შენობების სახით.

10. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს დააწესოს მზრალად ხვნის მიმდინარეობის ხუთდღიური აღრიცხვა და არაუგვიანეს ხუთდღიურის მეორე დღისა საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მოაწოდოს ინფორმაცია ცალკე თვითეულ რაიონში მზრალად ხვნის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
კ. ჩარკვიანი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დანართი

ნორმები ტრაქტორებისათვის

მტს-ების დასახელება	ტრაქტორების მარკები		
	სტზ	ჩტზ	სტზნატი
სოხუმის	2,9	10,8	7,6
გალის	2,8	10,3	7,3
ოჩემჩირის	2,9	10,8	7,6
გუდაუთის	2,8	10,3	7,3
აბაშის	3,1	10,6	8,1
ცხაკაიას	2,9	10,8	7,6
გეგეჭკორის	3,1	10,6	8,1
ზუგდიდის	2,8	10,3	7,3
ხობის	2,8	10,3	7,3
ქუთაისის	3,0	11,1	7,8
სამტრედიის	3,1	10,6	8,1
წულუკიძის	3,2	10,9	8,4
ვანის	2,9	10,8	7,6
ზესტაფონის	2,8	10,3	7,3
ოსიაურის	4,2	13,8	9,8
ავარის	4,3	14,4	10,2
ქარელის	4,3	14,4	10,2
გორის	4,2	13,8	9,8
ახალსოფლის	4,3	14,4	10,2
კასპის	4,2	13,8	9,8
წითელქალაქის	4,2	13,8	9,8
დუშეთის	2,8	10,3	7,3
სტალინირის	2,8	10,3	7,3
ქსუის	2,8	10,3	7,3
ახალქალაქის	2,9	10,8	7,6
ოკამის	2,9	10,8	7,6
ბოგდანოვკის	2,8	10,2	7,2
ახალციხის	3,0	11,1	7,8
ადიგენის	2,9	10,8	7,6
თიანეთის	2,8	10,3	7,3
წალკის	2,8	10,2	7,2
ასურეთის	2,8	10,3	7,3
გურჯაანის	4,2	13,8	9,8
კაჭრეთის	4,3	14,4	10,2
ულიანოვკის	4,5	14,8	10,4
წნორის	4,2	13,8	9,8
წითელის	4,6	14,2	10,8
ალაზნის	4,3	14,4	10,2
შირაქის	4,6	14,2	10,8
თელავის	4,3	14,4	10,2
ახმეტის	2,8	10,3	7,3
ყვარლის	4,8	14,6	11,2
ლაგოდეხის	4,6	14,2	10,8
თბილისის	4,3	14,4	10,2
თელეთის	4,2	13,8	9,8
მცხეთის	4,2	13,8	9,8
ყარაიის	4,2	13,8	9,8
ბორჩალოს	4,2	13,8	9,8
სადახლოს	4,3	14,4	10,2
ლუქსემბურგის	4,2	13,8	9,8
საგარეჯოს	4,5	14,8	10,4
სართიჭალის	4,3	14,4	10,2
ბაშკიჩეთის	2,8	10,2	7,2

ნორმები ცოცხალი გამწევი ძალისათვის

რაიონები	ნორმები
აფხაზეთის ასსრ	0,3
აჭარის ასსრ	—
აბაშის	0,3
ცხაკაიას	0,3
გეგეჭკორის	0,3
ზუგდიდის	0,3
ხობის	0,3
წალენჯიხის	0,3
ჩხოროწყუს	0,3
ქუთაისის	0,3
წყალტუბოს	0,3
სამტრედიის	0,3
წულუკიძის	0,3
ვანის	0,3
მაიაკოვსკის	0,3
ზესტაფონის	0,3
ჩხარის	0,3
ჭიათურის	0,3
საჩხერის	0,3
ტყიბულის	0,3
ონის	0,3
ამბროლაურის	0,3
ცაგერის	0,3
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი —	0,35
ახალქალაქის	0,35
ბოგდანოვკის	0,35
ახალციხის	0,35
ადიგენის	0,35
ასპინძის	0,35
ბორჯომის	0,35
წალკის	0,35
დუშეთის	0,35
ალბულაღის	0,35
თიანეთის	0,35
ყარაიის	0,35
ბორჩალოს	0,35
ბაშკიჩეთის	0,35
ხაშურის	0,4
ქარელის	0,4
გორის	0,4
კასპის	0,4
გურჯაანის	0,4
სიღნაღის	0,4
წითელწყაროს	0,4
თელავის	0,4
ყვარლის	0,4
ლაგოდეხის	0,4
თბილისის	0,4
მცხეთის	0,4
ლუქსემბურგის	0,4
საგარეჯოს	0,4

განხორციელებული განზრახვა

ჩერნოვიცი. 9 წლის წინათ სოფელ ტოპორივცის გლეხთა ჯგუფმა გადასწყვიტა დაედგა ტარას შევჩენკოს პიესა „ნაზარ სტოდოლია". ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი წინააღუდგნენ ამ განზრახვას. გლეხები ფარულად იკრიბებოდნენ ბინებში და აწყობდნენ რეპეტიციებს. ჟანდარმერიამ თვითმოქმედი დასი დაშალა.

წითელი არმიის მოსვლის შემდეგ ადგილობრივ ღარიბ გლეხს სტეფანე ვასილიშინს მოაგონდა ის განზრახვა, რომელიც ვერ განახორციელეს ოკუპანტების დროს. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი. ამ დღეებში შესდგა და დიდის წარმატებით დამთავრდა წარმოდგენა „ნაზარ სტოდოლია". (საკდესი).

185 ახალი კლუბი

როვნო. პოლონელი პანების უღლისაგან დასავლეთი უკრაინის განთავისუფლების 1 წლისთავისათვის როვნოს ოლქის სოფლებში 185 ახალი კლუბი იხსნება. წლის განმავლობაში ოლქში გაიხსნა 524 კლუბი, კულტურის 6 სახლი, 180 ქოხ-სამკითხველო. (საკდესი).

ქვანახშირის მრეწველობის მუშაობა აგვისტოში

შეჯამებულია საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის აგვისტოს მუშაობის შედეგები

აგვისტოში მექვანახშირეებმა, ჩვენს ქვეყანას მისცეს დღე-ღამეში 51,3 ათასი ტონა ქვანახშირით მეტი, ვიდრე შარშან ამავე თვეში. ქვანახშირის ამოღების მატება 14,3 პროცენტს შეადგენს.

წინ მიდის „კარაგანდაუგოლის" ტრესტი, რომელმაც თვიური გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულა. დონბასის შახტები აგვისტოში დღე-ღამეში საშუალოდ იძლეოდნენ 6.400 ტონა ქვანახშირით მეტს, ვიდრე ივლისში, თუმცა აგვისტოს გეგმა დონბასმა ვერ შეასრულა.

სტახანოვური მოძრაობის მეხუთე წლისთავს ქვანახშირის მრეწველობა ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდა.

მაგრამ ქვანახშირის ამოღების აგვისტოს გეგმა, დადგენილი მთავრობის მიერ, არ არის შესრულებული. ჯერ კიდევ არასაკმაოდაა გამოყენებული რთული მოწყობილობა შახტებში. ეს ჩანს მყელავ მემანქანეთა მუშაობის მაგალითზე. დონბასის შახტებში 22 ლავის გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მყელავი მემანქანეები ხშირად თავისი სამუშაო დროის მხოლოდ 66 პროცენტს იყენებენ ნაყოფიერად. დანარჩენი დრო მოსამზადებელ, სარემონტო და სხვა დამხმარე სამუშაოებს უნდება. არასაკმაოა აგრეთვე მალაროელთა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები.

მთელ რიგ შახტებში სუსტად ხორციელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება. სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის გადიდების მოხებით შახტებში საკმაო რაოდენობით განთავისუფლდნენ მუშები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნან სხვაგან და უმთავრესად მიწისქვეშა სამუშაოებზე. ამავე დროს ცალკეული ხელმძღვანელები არ იყენებენ ამ შესაძლებლობას, ხოლო ზოგიერთი მათგანი ფორმალურად მიუდგა ბრძანებულების განხორციელებას.

დონბასში განთავისუფლებული 7.388 მუშიდან სანგრევში გაიგზავნა მხოლოდ 1.190 კაცი (საკდესი).

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს გადაეცა ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა

მეშახტეთა საზეიმო მიტინგზე

ტყიბული (საქდესი). ქვანახშირის მრეწველობაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემფასებელმა ცენტრალურმა კომისიამ ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტს სხვა მოწინავე შახტებთან ერთად, მიანიჭა ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და მექვანახშირეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის საუკეთესო შედეგებისათვის.

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს საზეიმოდ გადაეცა დროშა. ამ საკითხისადმი მიძღვნილ მიტინგს 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგი გახსნა შახტის გამგემ, ორდენოსანმა ამხ. გ. გორგიძემ. საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ჭანუყვაძემ, გადასცა რა შახტის კოლექტივს წითელი დროშა, ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მას.

ამხ. გორგიძემ წითელი დროშის მიღებისას განაცხადა:

— ჩვენი შახტის კოლექტივი მტკიცედ დაიჭერს ხელში ამ საპატიო დროშას. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენს ქვეყანას მეტს მაღალი ხარისხის ქვანახშირს მივცემთ და წლიურ გეგმას შევასრულებთ ვადამდე, 1 დეკემბრისათვის.

სტახანოველმა ამხ. ვ. ცირეკიძემ სთქვა:

— მე წილად მხვდა დიდი პატივი, ეს დროშა მომეტანა დონბასიდან. როცა დროშას ვიღებდი, ჩვენი შახტის კოლექტივის სახელით დონბასელ მეშახტეებს აღვუთქვი, რომ ბოლშევიკურად შევასრულებთ პარტიისა და მთავრობის მითითებებს ქვანახშირის ამოღების გადიდების საქმეში.

სტახანოველმა ქალმა ამხ. ნ. ლაშენკომ იკისრა ვალდებულება, რომ დღიურ ნორმას სულ ცოტა 200 პროცენტით შეასრულებს.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სამთო ოსტატმა ამხ. ს. ოლჩევმა, რომელმაც განაცხადა, რომ შახტის მიერ წითელი დროშის მიღებით აღფრთოვანებულმა მისი ცვლის მუშებმა ამ დღეს დავალება 110 პროცენტით შეასრულეს.

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა იკისრა, ჩვენს ქვეყანას წლიური გეგმის გადაჭარბებით მისცეს 30.000 ტონა ქვანახშირი.

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ტური

5 სექტემბერს 18 საათისათვის მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი ხალხით გაიჭედა. მუშები, მოსამსახურენი, მოწაფეები, სტუდენტები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები შეიკრიბნენ აქ სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატის პირველ ტურზე ჩემპიონატისა, რომელშიაც ჩვენი ქვეყნის 20 უძლიერესი მაესტრო იბრძვის საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ჩემპიონის სახელწოდებისათვის. თითქმის ყველა მაყურებელს, რომელიც ტურნირზეა მოსული, ხელში უჭირავს საჭადრაკო დაფა ან ჯიბის დასაკეცი ჭადრაკი.

ესტრადაზე დადგმულია 10 საჭადრაკო მაგიდა საკონტროლო საათითურთ. ჩემპიონატის მონაწილეებს საყურებელი დარბაზისაგან ჰყოფს ცოცხალი ყვავილების ვეებერთელა ბარიერი.

სრულ 18 საათსა და 30 წუთზე გაისმის ზარის ხმა. ათი წყვილი საჭადრაკო საათი ერთად ამუშავდა. ყველა ელექტროფიცირებულ სადემონსტრაციო დაფაზე გამოჩნდა წარწერა: „თეთრების სვლა", მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ეს წარწერა შეიცვალა მეორით: „შავების სვლა".

პირველი მომენტიდანვე ყურადღების ცენტრშია ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერის კერესის პარტია სსრ კავშირის 18 წლის მაესტროსთან როსტოველ სტოლბერგთან. დებიუტში პასიურმა თამაშმა სტოლბერგს უპირატესობა არ მისცა და ინიციატივა თითქოს დიდი ხნით ხელთ იგდო გროსმაისტერმა კერესმა. მაგრამ სტოლბერგი შესანიშნავი ტაქტიკოსია. მოულოდნელი კომბინაციით მან კარგად გამოიყენა კერესის სვლა, რომელიც ერთი შეხედვით არც თუ ცუდი სვლა იყო. გროსმაისტერს დიდხანს დასჭირდა ფიქრი, და მან იპოვა შედარებით უკეთესი შესაძლებლობა ორი ფიგურის გაცვლა ეტლსა და ორ პაიკში.

კერესს საკმაო დიდი ბრძოლა დასჭირდებოდა ყაიმისათვის. მაგრამ მოულოდნელად სტოლბერგმა უხეში შეცდომა დაუშვა და იძულებული გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი პაიკი მიეცა გროსმაისტერისთვის. ახალგაზრდა მაესტროს პოზიცია ერთბაშად უიმედო გახდა და მე-32 სვლაზე სტოლბერგი, რომელიც თეთრებით თამაშობდა, დანებდა.

დანარჩენი გროსმაისტერებისათვის პირველი ტური საბედისწერო გამოდგა. ახალგაზრდა მაესტრო ბონდარევსკიმ, რომელიც ბოტვინიკთან თამაშობდა, დებიუტით მტკიცე პოზიცია მიიღო. თუმცა იგი გადამწყვეტ შეტევაზე არ გადასულა, მაგრამ თავის მოწინააღმდეგეს მეფის ფლანგზე იერიშის მუქარით აწუხებდა. ბოტვინიკს, რომელიც შავებით თამაშობდა, ცხადია, შეეძლო დამშვიდებით დაეცვა თავი და დაახლოებით თანასწორი პოზიცია შეენარჩუნებინა, მაგრამ მან გადასწყვიტა საშიში გარღვევის დაწყება პაიკებით. ბონდარევსკიმ შესძლო ყოველგვარი საფრთხის ლიკვიდირება და შეჰქმნა ძლიერი გამსვლელი პაიკი ცენტრში, რამაც მას ერთგვარი უპირატესობა მისცა. სსრ კავშირის ჩემპიონი ბოტვინიკი მედგრად იცავდა თავს, მაგრამ ბონდარევსკი შესანიშნავად თამაშობდა. ბოლოს ბოტვინიკი იძულებული გახდა დაეთმო პარტია მე-38 სვლაზე.

გროსმაისტერი ლევენფიში თეთრებით თამაშობდა ლიტვის ჩემპიონის მიკენასის წინააღმდეგ. ორიგინალურმა და საინტერესო თამაშმა ლიტვის ჩემპიონს საშუალება მისცა კარგი პარტია მიეღო. გროსმაისტერმა ლევენფიშმა არა თუ ვერ მიიღო უპირატესობა, არამედ უფრო ცუდ მდგომარეობაშიაც აღმოჩნდა. მიკენასმა მალე მოიგო პაიკი და ლევენფიშმა ველარ დააღწია თავი წაგებას.

ლატვიის ჩემპიონი პეტროვი თეთრებით თამაშობდა გროსმაისტერ კოტოვის წინააღმდეგ. მათ პარტიას ხანგრძლივი მანევრირება ახასიათებდა. თეთრებმა მცირე უპირატესობას მიაღწიეს, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. მალე კოტოვს უკვე აღარ შეეძლო თავიდან აეცილებინა მატერიალური დანაკლისი და იძულებული გახდა დაეთმო პარტია.

უკრაინის ჩემპიონის ბოლესლავსკის პარტია მოსკოვის ჩემპიონ ლილიენტალთან გადადებულია. მოგების შანსები აქვს უკრაინის ჩემპიონს.

გადადებულია რაგოზინ—მაკოგონოვის პარტია, რომელშიც დიდი უპირატესობა აქვს მაკოგონოვს.

ქალაქ ლვოვის წარმომადგენელი გერსტენფელდი სუსტად იცავდა თავს შავებით დებიუტში სმისლოვის წინააღმდეგ და, ბოლოს, სამი პაიკი დაჰკარგა. პარტია გადადებულია.

ბელორუსიის ჩემპიონმა ვერესოვმა, რომელიც შავებით თამაშობდა დაწესებულ ვადას გადააცილა დაახლოებით თანასწორ პოზიციაში და გამარჯვება პანოვს მიეკუთვნა.

რუდაკოვსკი—ლისიცინის პარტია გადადებულია ლისიცინისათვის უკეთეს მდგომარეობაში. დუბინინი და კონსტანტინოპოლსკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

სსრ კავშირის ჭადრაკის მაესტრო
ს. ბელავენეცი (საკდესი).

ამერიკის გამოხმაურება ინგლის-ამერიკის შეთანხმებაზე

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი (საკდესი). რუზველტის მომხრენი და მრავალი რესპუბლიკელი იწონებს შეთანხმების დადებას, როგორც ისეთ შეთანხმებას, რომელიც აძლიერებს ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ პოზიციებს. ცნობილი რესპუბლიკელი სენატორები ბარბური და ჯიპსონი შეუერთდნენ დემოკრატებს — რუზველტის მომხრეებს, რომლებიც იწონებენ შეთანხმების დადებას. რესპუბლიკელთა ორგანო გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" აცხადებს, რომ რუზველტის მოქმედების მოულოდნელობას შეუძლია ერთგვარი საფრთხე გამოიწვიოს, მაგრამ იგი ვერ ჰფარავს რუზველტის მიერ გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობას. ბევრი მათგანი, რომლებიც შეთანხმებას აკრიტიკებენ, რუზველტის მიზნებს იწონებენ, მაგრამ მას ბრალად სდებენ იმას, რომ ფარულად, კონგრესისაგან კონსულტაციის მიუღებლად დასდო შეთანხმება.

საერთოდ, შეთანხმებას ახასიათებენ როგორც ისეთ ღონისძიებას, რომელიც უფრო მჭიდროდ დააკავშირებს შეერთებულ შტატებსა და ინგლისს.

სერიოზულად არავინ არ ცდილობს დაამტკიცოს თითქოს ინგლის-ამერიკის უკანასკნელი შეთანხმება ამერიკის ნეიტრალიტეტს არ ეწინააღმდეგებოდეს. საერთო აზრით, გერმანიას შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ისე გაიგოს, როგორც მეომარი მხარის მოქმედება, მაგრამ ფიქრობენ, რომ გერმანია თავს შეიკავებს ასეთი გაგებისაგან. როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი აღნიშნავს, სახელმწიფო დეპარტამენტის წრეები ამტკიცებენ, რომ ტექნიკურმა სიძნელეებმა არ უნდა დააბრკოლონ მნიშვნელოვან თავდაცვით ღონისძიებათა განხორციელება. ეს პირნი ამტკიცებენ, რომ „შეერთებულმა შტატებმა ბევრი რამ მნიშვნელოვანი შეიძინეს მცირე საზღაურის ფასად". ოფიციალურ განმარტებებს უმთავრესად იმიტომ იძლევიან, რომ პასუხი გასცენ ოპოზიციური იზოლაციონისტებს, რომლებიც ბრალსა სდებენ რუზველტს, რომ იგი ომის რისკს ეწევა კონგრესთან მოუთათბირებლად. დიპლომატიურ დოკუმენტებთან ერთად „თეთრმა სახლმა" 3 სექტემბერს გენერალური პროკურორის ჯექსონის ვრცელი თეზისები გამოაქვეყნა, რომლებიც რუზველტის მოლაპარაკების კანონიერებას იცავენ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ჯექსონი სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავდა.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჩერჩილმა თავისი გამოსვლის წინ განაცხადა, რომ დღევანდელი სხდომის შემდეგ თემთა პალატა დათხოვნილი იქნება 16 სექტემბრამდეო. შემდგომი სხდომები გაიმართება 18 და 19 სექტემბერს.

შეეხო რა შეერთებულ შტატებთან დადებულ შეთანხმებას, ჩერჩილმა განაცხადა: მოლაპარაკება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამთავრებულია. მხოლოდ ძალიან უვიც ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ამერიკის მიერ ინგლისისათვის საესკადრო ნაღმოსნების გადმოცემა თუნდაც ოდნავ არღვევს საერთაშორისო სამართალს ან ეხება ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობას, როგორც ისეთ სახელმწიფოსას, რომელიც ომში არ მონაწილეობს.

გენერალური ბრძოლა ჰაერში, — განაცხადა შემდეგ ჩერჩილმა, — გრძელდება. ივლისში მნიშვნელოვანი აქტივობა იყო, მაგრამ აგვისტოში ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა ჰაერში. ჯერ არც ერთ მხარეს არ გამოუჩენია მთელი თავისი ძალა. გერმანიისა და ინგლისის ავიაციის ზარალი გამოიხატება თანაფარდობით 3:1 ინგლისის სასარგებლოდ, მფრინავთა ზარალი კი 6:1 აგრეთვე ინგლისის სასარგებლოდ.

გერმანელები ამტკიცებენ, ივლისსა და აგვისტოში ინგლისის ავიაციამ 1.921 თვითმფრინავი დაჰკარგაო. ამ ორ თვეში ჩვენ 558 თვითმფრინავი დავკარგეთ. აგვისტოს განმავლობაში ინგლისში მოკლულ იქნა 1.075 კაცი სამოქალაქო მოსახლეობიდან. ამაზე ცოტა მეტი სერიოზულად დაიჭრა.

შეეხო რა საერთო მდგომარეობას, ჩერჩილმა განაცხადა: ნურავინ იფიქრებს, რომ შემოჭრის საშიშროება აგვცილდა, მე არ ვეთანხმები იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ 15 სექტემბრის შემდეგ ზღვის გადაღმიდან სასტიკი იერიშის საფრთხეს გადავრჩებითო. ზამთრის გრიგალს, ბურუსსა და წყვდიადს შეუძლია ხელი შეუშალოს შემოჭრას, მაგრამ ჩვენ მაინც ვერცერთი წუთით ვერ შევასუსტებთ ჩვენს ღონისძიებებს. ჩვენი მზადება ინგლისის თავდაცვისათვის გიგანტური მასშტაბით მიმდინარეობს. რამდენიმე დღის წინათ ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ გაგვეორკეცებინა ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რისთვისაც იქ ზოგიერთი ჩვენი ყველაზე უფრო მძლავრი და თანამედროვე ხომალდი გავგზავნეთ. ახლო მომავალში გადამწყვეტ ბრძოლას უნდა მოველოდეთ ახლო აღმოსავლეთში და განზრახული გვაქვს გავაძლიეროთ იქ ჩვენი პოზიციები და გავადიდოთ ჩვენი საზღვაო ძლიერება და კონტროლი, რასაც უზრუნველჰყოფს ჩვენი საზღვაო ბაზა და ძლიერება მთელს ხმელთაშუა ზღვაზე და არა მარტო მის აღმოსავლეთ აუზში, არამედ დასავლეთისაშიც.

გერმანიის პრესა ჰიტლერის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 5 სექტემბერი (საკდესი). დღეს გერმანიის გაზეთები ვრცელ კომენტარს უძღვნიან ჰიტლერის მიერ სპორტ-პალასში გუშინ წარმოთქმულ სიტყვას. გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" სწერს, რომ ჰიტლერის გუშინდელი სიტყვის ძირითადი თემა ინგლისი იყო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის ავიაციის მიერ გერმანიის ქალაქებზე მოწყობილ ღამის თავდასხმას გერმანია ინგლისის წინააღმდეგ მოქმედების გაძლიერებით უპასუხებს. ამასთანავე გაზეთი იმოწმებს ჰიტლერის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც მან განაცხადა, რომ გერმანია „ინგლისელთა ღამის თავდასხმებს ახლა სულ უფრო მზარდი მასშტაბით უპასუხებს ყოველ ღამ. და თუ ინგლისის ავიაცია ერთ ღამეში ორ, სამს ან ოთხ ათას კილოგრამ ყუმბარას ჰყრის, ჩვენ ერთ ღამის განმავლობაში 150, 180, 230 ათასს, 300 ათასს, 400 ათასს და მეტ კილოგრამს ვყრით. თუ ინგლისელები აცხადებენ, თქვენი ქალაქების ბომბარდირებას გავაძლიერებთო, ჩვენ მათ ქალაქებს აღვგვით პირისაგან მიწისა.

ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი" სწერს, რომ ჰიტლერის სიტყვამ ერთხელ კიდევ ამცნო მსოფლიოს, თუ რა ამოცანები აქვს გერმანიას ომის მეორე წელს. „გერმანიის მიზანია, — აღნიშნავს ბიულეტენი, — მოსპოს ინგლისის სისტემა. გადამწყვეტი დარტყმა იმ მომენტში მოხდება, როდესაც ამას გერმანიის სამხედრო სარდლობა განსაზღვრავს".

ნეირატმა მიიღო ჩეხი და გერმანელი ჟურნალისტები

პრაღა, 5 სექტემბერი (საკდესი). 2 სექტემბერს გერმანელი პროტექტორის სასახლეში ჟურნალისტთა დიდი დარბაზობა გაიმართა. დარბაზობას დაესწრნენ ნეირატი, სტატსმდივანი ფრანკი და მისი თანაშემწე ბურგდორფი, სამხედრო რწმუნებული პროტექტორატ ჩეხიასა და მორავიაში გენერალი ფრიდერიცი და სხვები.

მოწვეული იყო დაახლოებით 80 ჩეხი და გერმანელი გავლენიანი ჟურნალისტი.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ პროტექტორმა ნეირატმა ერთად მიიღო ისინი. ნეირატმა სიტყვა წარმოსთქვა პროტექტორატის ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ. მან განაცხადა, ჟურნალისტები იმიტომ შევკრიბე, რომ გამეცნო მათთვის რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი, ვინაიდან გერმანიის ხელისუფალნი ფიქრობენ, რომ ახლანდელ ომში ჟურნალისტთა როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანიაო.

„უწინარეს ყოვლისა, — სთქვა ნეირატმა, — თქვენი მოვალეობაა განუმარტოთ მოსახლეობას ყველა ღონისძიება, რომლებსაც ხელისუფლება ახორციელებს, და ამრიგად, სწორი თვალსაზრისი შეუქმნათ თქვენს მკითხველებს ომის ყველა მოთხოვნილების შესახებ".

ნეირატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბეჭდვითს სიტყვას დიდი აღმზრდელობითი ამოცანები აქვს დაკისრებული, რათა სავსებით გააქარწყლოს ყოფილი ილუზიები და აღზარდოს ხალხში გერმანული სახელმწიფოებრიობის გრძნობა, ვინაიდან „მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს სურდათ პროტექტორატი ჩეხია და მორავია ერთგვარ ტრამპლინად გამოეყენებინათ გერმანიის იმპერიაშიო", — განაგრძო ნეირატმა.

შეეხო რა კულტურის საკითხს, ნეირატმა აღნიშნა, რომ „ჩეხების ზოგიერთს წრეს სურს ხელოვნურად შექმნას თვითმყოფობა, რაც სრულიად არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს და მოვლენათა განვითარებას, როგორიც იყო იგი უკანასკნელ დღეებამდე.

მხოლოდ უარესი იქნება ყველასთვის, თუ ის პირნი, რომელთაც პასუხისმგებლობა აკისრიათ, ანგარიშს არ გაუწევენ იმ ფაქტს, რომ ჩეხი ხალხი მუდამ დაკავშირებული იყო გერმანიის კულტურასთან და არაფრით არ არის დაკავშირებული დასავლეთთან ან აღმოსავლეთთან".

ბულგარეთ-რუმინეთის მოლაპარაკება

სოფია, 5 სექტემბერი (საკდესი). გუშინ კრაიოვაში 2 დღის შესვენების შემდეგ განახლდა ბულგარეთ-რუმინეთის მოლაპარაკება.

გაზეთ „უტროსა" და „ზორას" კორესპონდენტები იუწყებიან: რუმინეთის დელეგაციის ხელმძღვანელ კრეტჩეანუსთან შეხვედრის შემდეგ ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა პომენოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთისა და რუმინეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულებათა ტექსტის შედგენა დაიწყეს. ამავე დროს პომენოვმა აღნიშნა, რომ დელეგაციები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ ძირითად საკითხში, თუ რა დღეს შეუძლია შევიდეს ბულგარეთის ჯარი სამხრეთ დობრუჯაში.

თავდასხმა მეფე კაროლზე

ლონდონი, 4 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ბუქარესტელი კორესპონდენტის ცნობას, რომ გუშინ, ღამით, მოხდა თავდასხმა რუმინეთის მეფე კაროლზე.

ტახტიდან გადადგა რუმინეთის მეფე

ბერლინი, 6 სექტემბერი (საკდესი). ტრანსოცეანის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გადადგა რუმინეთის მეფე კაროლი, რომელმაც ტახტი თავის შვილს მიხეილს დაუთმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

„...საკითხი გადატანილ იქნას შემდეგ კრებაზე“

(ქუთაისი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ეს ამბავი ორი თვის წინათ მოხდა. 27 ივნისს ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის სახანძრო დაცვის პოლიტხელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრს ი. მიმინოშვილს ჯიბეში ორნახევარი მეტრი სატინი აღმოუჩინეს. ეს მატერია მან ფაბრიკაში მოიპარა.

6 ივლისს ფაბრიკის პარტბიურომ კომუნისტ ი. მიმინოშვილის სამარცხვინო საქციელი მსჯელობის საგნად გაიხადა. პარტბიუროს სხდომაზე დამსწრე კომუნისტებმა ერთხმად მოითხოვეს მიმინოშვილის გარიცხვა საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან. პარტბიუროს მხოლოდ ერთი წევრი — ამხ. გ. მეძველია მოევლინა მიმინოშვილს დამცველად. მეძველიამ, ცხადია გვერდი ვერ აუარა მომხდარ ფაქტს, მაგრამ ცდილობდა ეს უკანასკნელი მხოლოდ შეცდომად დაეხატა. მან გაილაშქრა იმ კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც მიმინოშვილის გარიცხვას მოითხოვდნენ. მიუხედავად მეძველიას სურვილისა, პარტბიურომ მიმინოშვილი გარიცხა საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან.

16 ივლისს მიმინოშვილის საკითხს ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის საერთო კრება იხილავდა. კრებამ ორი საათი მოანდომა მიმინოშვილზე მსჯელობას. კამათში 13 ამხანაგი გამოვიდა. ზოგიერთმა კომუნისტმა კი (მეძველია, კვატაშიძე და სხვ.) ორჯერ გამოსთქვა თავისი აზრი. ბოლოს კრებამ აი რა დაადგინა: „მიმინოშვილის საკითხი გადატანილ იქნას შემდეგ კრებაზე“ (?!). გაუგებარია, რა იყო ამის ნამდვილი მიზეზი. პარტიული კრება სავსებით კანონიერი იყო და საკითხი რატომ უნდა დაეტოვებინათ ღიად?..

მას შემდეგ არავის გახსენებია დაბრუნებოდა მიმინოშვილის საკითხს, დაესაჯათ იგი — წამგლეჯი, პარტიის სახელის გამტეხი. მიმინოშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრულია ქალაქის პროკურატურაში. არც იქ ჩქარობენ ძიების დამთავრებას.

გ. ყურაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) აბას ალი მამედ-ოღლი **მამედოვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2159892 — სპეკულაციისათვის. 2) კალისტრატე (ივანე) იორამის-ძე **ლომიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1919 წლიდან, პარტბილეთი № 1506928 — იმისათვის, რომ პარტიაში შესვლისას დაფარა თავისი სამსახური მენშევიკურ გვარდიაში. 3) კლასიონ ილარიონის-ძე **გორდაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1669947 — პარტიის საწევროს გადაუხდელობისა და სამუშაოს გაცდენისათვის. 4) ივანე სერგოს-ძე **ნავტიკოვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1677690— იმისათვის, რომ საკ. კ. პ. (ბ) წევრად შესვლის დროს დაფარა თავისი სამსახური მენშევიკურ გვარდიაში და დაშნაკურ არმიაში. 5) შალვა სოფრომის-ძე **კვატაშიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2844080— როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული. 6) სიმონ მიხეილის-ძე **იორამაშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1681778—სიმინდის მოპარვისათვის. 7) ნიკოლოზ გეურქას-ძე **სულხანიშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1681829 — კოლმეურნეობაში მუშაობის ჩაშლისათვის. 8) ესტატე ივანეს-ძე **ფილიშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1548520 — სახელმწიფო სახსრების მითვისებისა და ყოფაცხოვრებითი გახრწნილობისათვის. 9) ივანე სერგოს-ძე **ბოინაგაროვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1508566 — პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის. 10) ალექსი დიმიტრის-ძე **კორეულიშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1671534 — სიყალბისა და 11 კილო კარაქის მითვისებისათვის. 11) მელიტონ ლაპავის-ძე **ბაგათელია,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1514959 — წინასწარი განზრახვით ჭრილობის მიყენებისათვის. 12) ნიკოლოზ ივანეს-ძე **მორგუნოვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი, პარტბილეთი № 2899126 — სიყალბის ჩადენისათვის. 13) გიორგი ივანეს-ძე **გრიგოლაშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1529715— სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. 14) სამსონ ქიშვარდის-ძე **კილაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1529662 — სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. 15) შალვა იასონის-ძე **ელიკაშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 1531384 — გაფლანგვისათვის. 16) ფილიმონ იაკობის-ძე **ლოჩოშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2846563 — სისტემატური ლოთობისა და კოლმეურნის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის. 17) ზაქარია სიმონის-ძე **კვერცხიშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 0858593 — პოლიტიკური უცოდინარობისა და პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის. 18) ივანე ბეჟანის-ძე **ტერტერაშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0928373—საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და ლოთობისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) რუბენ ალექსის-ძე **ბარხუდაროვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0924060, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის. 2) ილია ეგნატეს-ძე **ზანთარია,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2157124, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის. 3) გიორგი თეიმურაზის-ძე **ახათიანი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1501863, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის. 4) სერგი იაკობის-ძე **პეტუხოვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2854808, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის. 5) თეოფანე პავლეს-ძე **კიკაბიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2850006, ანტიპარტიული გამოსვლისათვის და როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის. 6) ერვანდ ზაქარიას-ძე **ქვრივიშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 2839269, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ოთხი თვის პატიმრობით წარმოებიდან თვითნებურად წასვლისათვის. 7) პავლე ივანეს-ძე **ურუშაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1262019, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის. 8) თომას მელქონის-ძე **აგროვიანი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1549218, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული 8 თვის იძულებითი მუშაობით და სახლში ფეხსაცმლის უპატენტოდ შეკერვისათვის. 9) ივანე ალექსის-ძე **გაჩეჩილაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1537154, სამუშაოს გაცდენისათვის.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიაში მიღებას

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

პარტიაში ახალ წევრთა მიღების განახლების დღიდან ლანჩხუთის რაიონის პარტორგანიზაციების მიერ მიღებულია 1450 ამხანაგი. აქედან საკ. კ. პ. (ბ) წევრად — 516, წევრობის კანდიდატად — 934 ამხანაგი. მიღებულთა შორის არიან კოლმეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების მოწინავე ადამიანები, რომლებმაც პრაქტიკულ სამუშაოზე დაამტკიცეს ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება და თავდადება.

მაგრამ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ნაკლოვანებანი, რომელნიც პარტიულ ორგანიზაციებს აქვთ ახალ წევრთა მიღების საქმეში. ზოგიერთი პარტორგანიზაცია არ იცავს ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს, პარტიაში იღებს ყველას, ვინც განცხადებას შემოიტანს, გულისხმიერად არ ეკიდება მისაღების მასალის წესიერად განხილვას. ასე მაგალითად, 12 ივნისს პარტიულ კრებაზე, ქვემო აკეთის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი — ვ. ქურიძე) 7 მისაღები ამხანაგის ანკეტა-განცხადება ერთბაშად, ხელაღებით განიხილა და შვიდივე მიიღო, ამათგან პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ მხოლოდ 5 მიიღო.

რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულმა პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო გ. პ., რომელმაც დამალა თავისი წარსული. მსგავს ფაქტებს ვხვდებით სუფსისა და ნიგოითის ტერიტორიულ პარტორგანიზაციებშიც.

რაიპრეკუმის პარტორგანიზაციამ (მდივანი — ამხ. იმნაძე) პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო შრომის დისციპლინის დამრღვევი, ფრენია ქ. კუკულაძე, აცანის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო ბრიგადირი ბ. ჩხაიძე მაშინ, როცა ჩხაიძის ბრიგადა ყველაზე უფრო ჩამორჩენილად ითვლება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის და სხვა სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულების საქმეში, ბ. ჩხაიძე არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაშიც.

არის პარტიული წესდების დამახინჯების შემთხვევებიც. მაგალითად, ქვემო ჩიბათის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო მ. ჭყონია ისე, რომ რეკომენდატორები ივ. სარჯველაძე და ს. ჩახვაძე მას ერთი წლის ერთად მუშაობით არ იცნობდნენ. ქვიანის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ (მდივანი — სიხარულიძე) პარტიაში მიიღო ბ. გოგუაძე ისე, რომ რეკომენდაციები დაწერილი და შემოწმებული იქნა სახელდახელოდ, კრებაზე საკითხის განხილვის შემდეგ.

გაუთავდება თუ არა საკანდიდატო ვადა, პარტიის წევრობის კანდიდატს, ზოგიერთი პარტორგანიზაცია ფიქრობს, რომ ის აუცილებლად უნდა მიიღოს წევრად. დააწერინებს განცხადებას და რეკომენდაციაში ჩაუწერს: გაუთავდა საკანდიდატო სტაჟი და ღირსია მიღებულ იქნეს პარტიაშიო. მაგრამ როგორი უნარი გამოიჩინა ამ ხნის განმავლობაში მისაღებმა ამხანაგმა, როგორ ასრულებს იგი დავალებებს, ზრუნავს თუ არა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, ამის შესახებ არავინ მსჯელობს.

ვ. მექვაბიშვილი



№ ნაწილის უფროსი პოლიტხელი ამხ. ვ. ბელოვი ემზადება კონსულტაციისათვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში.

საქდესის ფოტოქრონიკა.

„ერნანი“ ა. გრიბოედოვის სახ. თეატრში. სურათზე: (მარცხნიდან-მარჯვნივ) დონ-კარლოსი — დამსახ. არტისტი ა. სმირანინი, დონია-სოლ—რესპუბლიკის დამს. არტისტი ლ. ვრუბლევსკაია, სილვა—მსახ. ა. ზაგორსკი, ერნანი—დამსახ. არტისტი ი. ბოდროვი.

„ერნანი“

თბილისის ა. გრიბოედოვის სახ. თეატრში

„ერნანი“ ისევე, როგორც ვიქტორ ჰუგოს სხვა პიესები, რომანტიული დრამის ნამდვილ ნიმუშად ითვლება. თავის დროზე მან ახალი მაცოცხლებელი სული შთაბერა ფრანგულ თეატრს. ის დაწერილია იმ ლიტერატურული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჰუგომ თავის „კრომველის“ წინასიტყვაობაში წამოაყენა და რომლებიც თავის დროზე რომანტიკოსების ლიტერატურულ მრწამსად იქნა აღიარებული. „ერნანი“ ფრანგულ თეატრში 1830 წელს დაიდგა და ლიტერატურული ახალგაზრდობის მგზნებარე დემონსტრაციის საბაბად იქცა ივლისის ქარიშხლის წინ. ახალგაზრდა ავტორის სახელს ახალგაზრდობის საყოველთაო სიყვარულის შარავანდედი მოეფინა.

„ერნანი“ ცრუ-კლასიკური დრამის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს არა მარტო მომქმედი პირებით, არამედ სამი ერთიანობის ცნობილი პრინციპის უკუგდებით. მისი მთავარი გმირი—ერნანი ყაჩაღია, რომელსაც მეფესთან კონფლიქტი აქვს. ამასთან პიესის ენას იმ ნოვატორობის დაღი აზის, რომელიც საერთოდ ჰუგოს დამსახურებად ეთვლება ფრანგული ენის ისტორიაში. ხოლო მთავარი ის არის, რომ პიესა დაწერილია ბრწყინვალე ლექსით. ერთი სიტყვით, ვიქტორ ჰუგოს ყველა საუკეთესო ღირსება, როგორც მწერლისა, უხვად მოსჩანს „ერნანში“. პლასტიკური სახეებისა და ფერადოვანი სურათების შექმნაში ლექსით ჰუგოს თავის დროზე ტოლი არ ჰყოლია. „ერნანში“ ის მძლავრი ორატორია, რომელსაც შეუძლია მაღალ რიტორობასთან ერთად უბრალო და გულში ჩამწვდომიც იყოს.

გამოირკვა, რომ ერნანი რაგონიის ჰერცოგია. ამ ცვლილებასთან ერთად ხდება ძვრები ყოფილი ყაჩაღის ფსიქიკაში. მას უკვე აღარ სურს მოაგონონ, რომ ის ერნანია. მას შემდეგ, რაც არისტოკრატიაში შესდგამს ფეხს, იგი მერყევი ხდება და უნებისყოფობაც მოიცავს. მას აღარ უნდა დაჰკარგოს ის ფუფუნება, რაც მოიპოვა.

საბჭოთა მაყურებლისათვის, რომლისთვისაც ნაცნობია, თუ რაოდენი გმირული საქმეებისათვის აღაგზნებს ადამიანს სიყვარული, ჰუგოს „ერნანი“ უთუოდ მახლობელია. მაგრამ რეჟისორისაგან, რომელიც მის დადგმას განიზრახავს, დიდ რომანტიკულ ვნებათა ღელვის ჩვენებასთან ერთად მოითხოვს იმ სოციალური აზრის გახსნასაც, რომელიც ამ ნაწარმოებში არის ჩამარხული. გარდა ამისა, მაყურებელი მოითხოვს ჰუგოს ტექსტის გადმოცემას ისე, რომ დაცული იქნეს მისი ლექსის სურნელება და პათოსი.

თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრმა, რომელმაც ეს პიესა თავის რეპერტუარში შეიტანა და სეზონიც მით გახსნა, მეტად რთულ და პასუხსაგებ საქმეს მოჰკიდა ხელი. პიესა დასდგა საქ. სსრ დამსახ. არტისტმა **ა. სმირანინმა.** მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში არ იგრძნობა დადგმის ერთიანი სტილი, სცენაც მეტ შემთხვევაში გადატვირთულია რთული კონსტრუქციებით (მხატვარი—**ბ. ლოტკინი**) და ზოგიერთი ეპიზოდი პირდაპირ „გაოპერებულია“ (მუსიკა—კომპოზიტორ ბეიერისა), ეს დადგმა მაინც დამდგმელის სერიოზული მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს. დამდგმელს შესწევს უნარი — აქტიორულ შესრულებასთან რეჟისორული მუშაობაც შეათავსოს.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ სწორედ ამ სპექტაკლში ვერ გვაკმაყოფილებს აქტიორების თამაში. ავიღოთ თუნდაც რესპ. დამს. არტისტი, ნიჭიერი ი. ბოდროვი, რომელიც ერნანის როლს ასრულებს. იგი არ ზოგავს ტემპერამენტს და სხვა არტისტულ მონაცემებს, რომ მოგვცეს ერნანის მგზნებარე სახე, მაგრამ ვერ სძლევს ჰუგოს ტექსტის იმ სიძნელეს, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი. რიტორულობა მან შესცვალა უბრალო დეკლამაციით, სცენიური პათოსი — ტონაწეული ხმით. შეცდომა იქნებოდა მოგვეთხოვა ერნანის შემსრულებელისაგან როლის სრულფასოვანი გადმოცემა ასეთ მოკლე დროში, რომელშიც თეატრმა ეს პიესა დასდგა—ერნანი ისეთი როლია, რომელზეც მსახიობს ხანგრძლივი სერიოზული შემოქმედებითი მუშაობა ესაჭიროება. განსაკუთრებით დასჭირდება ეს ბოდროვს, რომელმაც თავისი მეტყველებით ნაკლებად განგვაცდევინა ჰუგოს ლექსის ძალა.

მეტყველების ტონით ჰუგოს განაზრახს აცდენილია საქ. სსრ დამს. არტისტი **ლ. ვრუბლევსკაია.** იგი დონია სოლს თამაშობს. სცენიური გარეგნობით, დახვეწილი მოძრაობით და პლასტიკით იგი უთუოდ დასამახსოვრებელ სახეს ჰქმნის, მაგრამ ჰუგოს ლექსი მის მეტყველებაში მაინც იჩაგრება. ალაგ-ალაგ არასწორად დასმული ცეზურები უკარგავენ ლექსს ვაჟკაცურ იერს, ნაცვლად რომანტიკული მგზნებარე ქალისა, ვღებულობთ სენტიმენტალურ სცენიურ სახეს. ეს განსაკუთრებით გამოამჟღავნა არტისტმა მე-2 და მე-3 მოქმედებებში. მონოლოგი „მიყვარს ერნანი მე“ ვერ მივიდა მაყურებლამდე, რადგან მსახიობის ინტონაციას გულთბილობა აკლდა.

მსახიობ მ. მიჩურინას მიერ შექმნილი სახეც ამ როლში დამაკმაყოფილებელი და მისაღები ვერ არის.

რაც შეეხება ა. სმირანინს, მისი დონ კარლოსი უთუოდ საყურადღებოდ გაკეთებული როლია. ავტორის ფხიზელი და ნათელი აზრი მას მაყურებლამდე მიაქვს, განსაკუთრებით სცენაში კარლოს დიდის საფლავზე. ის სწორად ხსნის „იმპერატორად გახდომის“ სურვილით შეპყრობილი დონ კარლოსის ბუნებას, ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს ტირანი ჰბაძავს დიდ წინაპრებს არა მრავალფეროვანი მოღვაწეობით, არამედ სიმკაცრით.

დონ რუი გომეს დე სილვას როლს ასრულებს მსახ. ა. ზაგორსკი. ეს როლი მსახიობს სცენიური სისრულით არა აქვს დამუშავებული.

დანარჩენი მსახიობებისაგან ჩვენ მოვითხოვთ ჰუგოს ტექსტის სათანადოდ დაუფლებას.

„ერნანმა“ გრიბოედოვის თეატრში ზოგიერთ დადებით მხარეებთან ერთად დაგვანახვა, რომ თეატრმა დიდი მუშაობა უნდა გასწიოს, რათა შესძლოს კლასიკური ნაწარმოების უფრო სრულქმნილად დადგმა.

ა. ბარათელი.

დღეს იხსნება ქუთაისის თეატრის სეზონი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი დღეს იწყებს მესამე სეზონს შ. დადიანის პიესით „ნაპერწკლიდან“.

შარშანდელ სეზონში ქუთაისის თეატრმა დიდი წარმატებები მოიპოვა.

ახალ სეზონს ქუთაისის თეატრის კოლექტივი გაძლიერებული ხვდება. თეატრს შეემატა მსახიობთა ახალი კადრები, მათ შორის 12 კაცს დამთავრებული აქვს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. ისინი თეატრმა უკვე ჩააბა შემოქმედებითს მუშაობაში — როგორც ახალ, ისე ძველ დადგმებში.

ამ სეზონში თეატრი 8 ახალ დადგმას გვიჩვენებს. პირველ პრემიერად სექტემბრის დამლევს დაიდგმება შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“. ამის პარალელურად თეატრის კოლექტივი მუშაობს გ. შალიკაშვილის კომედიაზე „უნიადაგონი“. რეპერტუარში შეტანილია აგრეთვე გალკინის პიესა „ბარ-კოხბა“, ვ. კატაევის „ქოხი“, შ. დადიანის „იდეა გაიმარჯვებს“, რომელსაც დრამატურგი სწერს თეატრის დაკვეთით მგზნებარე რევოლუციონერის ს. წულუკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ი. ვაკელის „პროვინციის მთვარე“, გ. ნახუცრიშვილის „სუსტი მხარე“ და სხვ. წინა დადგმებიდან აღდგენილი იქნება თეატრის ყველა თვალსაჩინო სპექტაკლი, მათ შორის „ოტელო“ წავა განახლებული დადგმით. მისი დეკორაციების გაფორმებაზე მუშაობს ორდენოსანი მხატვარი ი. გამრეკელი.

ი. ლიუბანსკი

შემოქმედებითი მარქსიზმის მაგალითი

> ...ენგელსი რომ ცოცხალი ყოფილიყო, იგი არ ჩაებღაუჭებოდა ძველ ფორმულას, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ მიესალმებოდა ჩვენს რევოლუციას და იტყოდა: „ჯანდაბას ყველა ძველი ფორმულა, გაუმარჯოს ძლევამოსილ რევოლუციას სსრ კავშირში!“.
>
> (სტალინი. „ოპოზიციის შესახებ“, გვ. 379).

სურდა რა სავსებით ნათლად, გადაჭრით, სრულიად უეჭველი სიზუსტით განესაზღვრა მარქსის თეორიის რევოლუციური ხასიათი, ენგელსმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვები: თეორია დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვისო (**მარქსი და ენგელსი.** ტ. XXVII, გვ. 606). ერთი თვის შემდეგ ენგელსი ვიშნევეცკაიასადმი (ამერიკელი ქალი, მისი წიგნების მთარგმნელი) გაგზავნილ წერილში კვლავ უბრუნდება ამ აზრს. „ჩვენი თეორია, — ამბობს იგი, — დოგმა კი არ არის, არამედ განვითარების პროცესის განმარტებაა“ (**იქვე,** გვ. 610). კიდევ ერთი თვის შემდეგ, იმავე ვიშნევეცკაიასადმი გაგზავნილ წერილში, იგი მესამედ იმეორებს: „ჩვენი თეორია განვითარების თეორიაა, და არა დოგმა, რომელიც უნდა გაიზეპირო და მექანიკურად იმეორო“ (**იქვე,** გვ. 614).

ორი თვის განმავლობაში სამჯერ დაბრუნება ერთსა და იმავე აზრზე: მარქსიზმი დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის!

„დოგმა“ ბერძნული სიტყვაა. „საქმეთა“ წიგნში სიტყვით „დოგმა“ პირველად აღინიშნა ეკლესიის განმარტებანი, რომლებიც უცილობელია მისი თვითეული წევრისათვის. მას შემდეგ ამ სიტყვით („დოგმა“ ანუ „დოგმატი“) აღნიშნავენ ყოველი რჯულის მოძღვრების ძირითად პუნქტებს, „სარწმუნოების სიმბოლოს“, „ზეგარდმო მოვლენილს“, ამიტომ „შეუცნობადს“, რომელიც მიღებულ უნდა იქნას უცილობლად როგორც უეჭველი ჭეშმარიტება; იგი სავალდებულოა ეკლესიის შვილთათვის და, რა თქმა უნდა, მისი გაკრიტიკება არ შეიძლება.

რამ გამოიწვია ის, რომ ენგელსმა ასე დაჟინებით დაუპირდაპირა მეცნიერული სოციალიზმის თეორია დოგმას?

ენგელსის წერილები მიძღვნილია ამერიკაში მყოფ გერმანელ სოციალისტთა მოქმედების კრიტიკისადმი. ეს იყო ამერიკაში მუშათა მასობრივი მოძრაობის მძაფრი სტიქიური აღმავლობის პერიოდი. ამერიკაში მყოფი გერმანელი სოციალისტები, რომელნიც ჩაფლული იყვნენ „ორთოდოქსიაში“ და რომლებსაც გაზეპირებული ჰქონდათ მარქსის ციტატები, ვერ „დაუკავშირდნენ მათ გვერდით მიმდინარე, თეორიულად უმწეო, მაგრამ ცოცხალ, მასობრივ, მძლავრ მუშათა მოძრაობას“ (**ლენინი.** ტ. XI, გვ. 166). მუშები კი, რომლებიც მოკლებული იყვნენ სოციალისტურ ხელმძღვანელობას, „იძულებული იყვნენ ეძებნათ თავისი საკუთარი გზა და ჰპოვეს იგი, ვგონებ, უწინარეს ყოვლისა „შრომის რაინდებში“, რომელთა აბნეული პრინციპები და სასაცილო ორგანიზაცია შეესაბამება, როგორც სჩანს, მათს საკუთარ აბნეულობას“ (**მარქსი და ენგელსი.** ტ. XXVII, გვ. 606).

ენგელსის ირონია „შრომის რაინდების“ შეფასებაში შემთხვევითი როდია: ეს ორგანიზაცია სრულებით არ ჰგავდა დასავლეთ ევროპის განვითარებულ პოლიტიკურ პარტიებს. ეს იყო საშუალოსაუკუნეობრივი ორდენის მსგავსი რამ, „დიდი ოსტატის“ მეთაურობით, ლოჟებით, სხვა მასონური აბდა-უბდითა და ფრიად აბნეული პრინციპებით. მაგრამ ეს იყო მუშათა ორგანიზაცია (ორდენში იღებდნენ მხოლოდ ფიზიკური შრომის ადამიანებს) და — რაც მეტად მნიშვნელოვანია — მასობრივი მუშური ორგანიზაცია, რომელიც იმ დროს ნახევარ მილიონ ამერიკელ მუშას აერთიანებდა.

ენგელსის წერილები გამსჭვალულია გულისწყრომითა და აღშფოთებით: მოლაყბე დოქტრინერებმა, რომლებმაც ვერ გაიგეს მარქსიზმის სული, იცავდნენ რა თავიანთი პრინციპების „სიწმინდეს“, არ ისურვეს დასდგომოდნენ აშკარა პოლიტიკური ბრძოლის გზას, თუმცა ისინი ვალდებული იყვნენ დასდგომოდნენ ამ გზას, რათა დაეპყროთ მრავალათასიანი მუშური ორგანიზაციის აქტიური წრეები, გაენათლებინათ ისინი და შეექმნათ მათგან მუშათა კლასის რევოლუციური პარტია.

აი საიდან წარმოსდგება ენგელსის გულისწყრომა და აღშფოთება! ჩვენგან შორეულ იმ წლებში კომუნიზმის დიდმა ბელადმა ამერიკაში მყოფ გერმანელ სოციალისტთა მაგალითზე დაინახა საშიშროება მებრძოლი მარქსიზმის გადაქცევისა სამლოცველო კატეხიზმოდ. ჭეშმარიტი მებრძოლის მგზნებარებით ექვეთა იგი ასოკირკიტებსა და „ორტოდოქსებს“, რომლებმაც ვერ გაიგეს მთავარი რამ მარქსიზმში — წარმოადგენდეს სახელმძღვანელოს რევოლუციური, მსოფლიოს გარდამქმნელი მოქმედებისათვის.

○

...XIX საუკუნის დამლევი, რომელიც რუსული და მსოფლიო ბოლშევიზმის გარიჟრაჟი გახდა. ლენინი გადასახლებაშია შორეულ შუშენსკოეში, პიტერის, ეკატერინოსლავის, ბაქოს რევოლუციურ მუშებს ათასობით ვერსი მანძილით დაშორებული. პირველი ყრილობა მინსკში ლენინს ირჩევს პარტიის ოფიციალური ორგანოს — „რაბოჩაია გაზეტას“ რედაქტორად. შუშენსკოედან ლენინი გზავნის „რაბოჩაია გაზეტას“ მესამე ნომრისათვის სტატიებს „ჩვენი პროგრამა“, „ჩვენი უახლოესი ამოცანები“, „საარსებო საკითხი“. გაზეთი ვერ გამოვიდა, ხოლო ლენინის სტატიები უკვე შემდეგ აღმოჩენილ იქნა პარტიის ჟენევის არქივში და გამოქვეყნდა მხოლოდ 26 წლის შემდეგ. მაგრამ სწორედ მათში ლენინური ძალით ხორცშესხმული იყო ენგელსის ზემოთმოყვანილი მოთხოვნა.

სტატიაში „ჩვენი პროგრამა“ ლენინი სწერდა:

„ჩვენ სავსებით ვდგევართ მარქსის თეორიის ნიადაგზე: მან პირველად გადააქცია სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად, დაამყარა ამ მეცნიერების მტკიცე საფუძვლები და აიღო გეზი, რომლითაც უნდა ვიაროთ, რათა ეს მეცნიერება კიდევ უფრო განვავითაროთ და ყველა წვრილმანებში დავამუშაოთ. ...ჩვენ სრულებით არ ვუყურებთ მარქსის თეორიას როგორც დამთავრებულს და ხელუხლებელ რასმეს; პირიქით, დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწიონ წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ჩამორჩნენ ცხოვრებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსი სოციალისტებისათვის განსაკუთრებით საჭიროა მარქსის თეორიის **დამოუკიდებელი** დამუშავება, ვინაიდან ეს თეორია იძლევა მხოლოდ ზოგად **სახელმძღვანელო** დებულებებს, რომლებიც **კერძოდ** ინგლისში სხვანაირად უნდა გამოვიყენოთ, ვიდრე საფრანგეთში, საფრანგეთში სხვანაირად, ვიდრე გერმანიაში, გერმანიაში კიდევ სხვანაირად, ვიდრე რუსეთში“ (თხზ. ტ. II, გვ. 491-492).

შეურიგებელი ბრძოლა მარქსის თეორიის საფუძვლებისათვის რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, მოძველებულ დებულებათა შეცვლა ახალი დებულებებით და მარქსის მოძღვრების დამოუკიდებელი, გაბედული შემოქმედებითი დამუშავება და გამდიდრება ისტორიული განვითარების ახალი გამოცდილებით — აი ბოლშევიზმის თეორიული განვითარების ის გენერალური ხაზი, რომელიც ლენინმა 40 წელიწადზე მეტი ხნის წინათ დასახა. ეს ხაზი გატარებულია ჩვენი პარტიის მთელ ისტორიაში, ლენინისა და სტალინის მთელ ცხოვრებაში.

○

ლენინის დიადი მოძღვრება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ძირფესვიანად განსხვავდებოდა „იმ შეხედულებისაგან, რომელიც გავრცელებული იყო მარქსისტებს შორის **იმპერიალიზმამდელი** კაპიტალიზმის პერიოდში, როცა მარქსისტები სთვლიდნენ, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ რომელიმე ქვეყანაში შეუძლებელია, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთსა და იმავე დროს მოხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშიო“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 205-206).

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მსოფლიომ სახე იცვალა. კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში. მსოფლიოს განაწილება, ე. ი. კოლონიების დატაცება, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს დამთავრდა. შეიძლებოდა ლაპარაკი მხოლოდ მსოფლიოს **გადანაწილებაზე.** ამ საკითხს აყენებდნენ ახალგაზრდა კაპიტალიზმის ქვეყნები, რომლებიც უფრო გვიან გამოვიდნენ ასპარეზზე: გერმანია, იაპონია, ამერიკა. ისინი უფრო გვიან გამოვიდნენ, მაგრამ ბევრ რამეში დაეწიენ და გაუსწრეს ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებმაც თავის დროზე ხელთ იგდეს ნადავლის უდიდესი ნაწილი. გამწვავდა წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, უკიდურესად გამწვავდა ბრძოლა მსოფლიოს გადანაწილებისათვის.

კაპიტალიზმმა იცის განაწილების მხოლოდ ერთი პრინციპი: ძალის მიხედვით. აქედან წარმოსდგება ომები როგორც ნადავლის განაწილებისა და დარღვეული „სამართლიანობის“ „აღდგენის“ ერთადერთი საშუალება. მაგრამ ომები ასუსტებს იმპერიალიზმის ძალებს, ზრდის მრავალმილიონიანი მასების ტანჯვასა და გულისწყრომას; შესაძლებელი ხდება იმპერიალისტური ჯაჭვის გაწყვეტა მის ყველაზე უფრო სუსტ ადგილას: საქმე მიდის სოციალურ რევოლუციამდე, როგორც ეს კიდევაც მოხდა ჩვენს ქვეყანაში 1917 წელს.

სწორედ კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონს, რომელიც ლენინმა აღმოაჩინა, ემყარება პროლეტარული რევოლუციის თეორია. სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ ლენინი 1915 წელს სწერდა:

„ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის აუცილებელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან და თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში“ (თხზ. ტ. XVIII, გვ. 232).

ერთი წლის შემდეგ ლენინი აქვეყნებს თავის გენიალურ გამოკვლევას „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, რომელიც გრანიტის საძირკველს უყრის სოციალისტური რევოლუციის თეორიას. სტატიაში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ იგი კვლავ აცხადებს:

„...სოციალიზმი ერთსა და იმავე დროს ვერ გაიმარჯვებს **ყველა** ქვეყანაში. იგი თავდაპირველად გაიმარჯვებს ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში, ხოლო დანარჩენები ერთხანს დარჩებიან ბურჟუაზიულნი ან წინაბურჟუაზიულნი“ (თხზ. ტ. XIX, გვ. 325).

სტატია „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ მიმართული იყო ტროცკის წინააღმდეგ. კაუტსკების, ტროცკების, ოტო ბაუერებისა და მათი ამყოლ-დამყოლების საზიზღარი ხროვა მუშათა კლასისადმი თავის ღალატს „ორტოდოქსალობით“ ჰფარავდა. ეს კაცუნები „იცავდნენ“ ენგელსს ლენინის წინააღმდეგ. ებღაუჭებოდნენ რა მოძველებულ დებულებას, გამცემლები ეწეოდნენ მუშათა კლასის დემობილიზებას, აქრობდნენ ბრძოლის ცეცხლს და ცდილობდნენ რევოლუციის საუკუნეობით გადადებას. ამაში იჩინა თავი ოპორტუნიზმის ყველაზე დამახასიათებელმა თვისებამ. ცნობილია, რომ ოპორტუნიზმი ყოველთვის პირდაპირ როდი უარჰყოფს მარქსიზმს. ოპორტუნიზმი თავს იჩენს იმითაც, რომ იგი აფერხებს მარქსისტული თეორიის განვითარებას, — მაშასადამე, რევოლუციური მოძრაობის განვითარებასაც, — იმით, რომ ებღაუჭება მის ცალკეულ დებულებებს, რომლებიც უკვე მოძველებული გახდა. სწორედ დოგმატური მარქსიზმი არის ოპორტუნიზმი, რომელიც ცოცხალ სულს აცლის რევოლუციურ მოძღვრებას. მხო-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 5 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: 4 სექტემბერს, ღამით, გერმანიის სანაღმო კატარღების ფლოტილიამ ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან იერიში მიიტანა ინგლისის სავაჭრო გემთა ქარავანზე, რომელსაც ბადრაგი ახლდა. ჩაძირულ იქნა 5 შეიარაღებული გემი 39 ათასი რეგისტრული ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა, მათ შორის 12 ათასი ტონა წყალწყვის ტანკერი. ერთი ხომალდი მძიმედ დაზიანდა. სანაღმო კატარღამ ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი ჩაძირა.

გერმანიის თვითმფრინავთა თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი ჰერალდი" ხაზგასმით აღნიშნავს, გერმანიის ავიაცია უკვე თვეზე მეტია, რაც მასობრივად ესხმის თავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისს, რათა შეჰბოჭოს ინგლისის გამანადგურებელი ავიაციის მოქმედება და ამრიგად გზა გაუკაფოს გერმანიის ყუმბარმშენებს დიდი სამრეწველო ობიექტებისაკენ. ლონდონის წრეები აღიარებენ, რომ ინგლისის ზოგიერთ აეროდრომზე დანგრეულია შენობები, ზოგ შემთხვევაში კი მიწაზე მოსპობილ იქნა თვითმფრინავები.

საფრანგეთის მთავრობის ღონისძიებანი

ლიონი, 5 სექტემბერი (საკდესი). როგორც ლიონის რადიო იუწყება, გუშინ გამოცხადებულ იქნა, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა კანონი, რომლის თანახმად მას უფლება ეძლევა საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსოს ის პირნი, რომლებიც „ნაციონალური თავდაცვისა და საზოგადოებრივი უშიშროებისათვის საფრთხეს" წარმოადგენენ.

ჰელი შანხაიში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ იაპონიისა და ამერიკის ხელისუფალთა შორის მოლაპარაკება სწარმოებს შანხაის სექტორების კონტროლისა და დაცვის შესახებ. მაგრამ ეს მოლაპარაკება იმით არის გაძნელებული, რომ იაპონელები დაჟინებით მოითხოვენ შემოღებულ იქნას მათი კონტროლი სექტორზე „ბ", სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვანი ინტერესები აქვთ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ ეს საკითხი შესაფერისად მოწესრიგდება. იაპონიის შეიარაღებული ძალები პასუხისმგებლობას იკისრებენ „დ" სექტორისათვის, ხოლო ამერიკის ჯარი, რომელიც მალე ჩავა შანხაიში, „ბ" სექტორის დაცვას იკისრებს.

საერთაშორისო სეტლმენტის სექტორი, რომელსაც წინათ ინგლისის ჯარი იცავდა, გაყოფილია ორ ნაწილად: „ბ" და „დ" სექტორად. „ბ" სექტორში მოქცეულია ქალაქის საქმიანი რაიონი, სადაც უცხოეთის მრავალი ბანკი და სავაჭრო კომპანია არის. მდინარე ვამპუს სანაპიროზე განლაგებულია გემსაკეთებლები. შანხაიში მყოფი უცხოეთის გარნიზონების მეთაურთა თათბირის გადაწყვეტილებით, „ბ" სექტორი ამერიკის ჯარმა უნდა დაიცვას. შანხაიში ამერიკის ჯარის ჩასვლამდე სექტორის დაცვა შანხაის მოხალისეთა კორპუსს დაევალა. „დ" სექტორში, რომელიც იაპონელებმა უნდა დაიცვან, ამერიკის საგარეუბნო კლუბი და აგარაკებია, სადაც ინგლისელი და ამერიკელი რეზიდენტები ცხოვრობენ. იაპონიის სარდლობის წარმომადგენლებმა, რომლებიც არ ეთანხმებიან სექტორების დაცვის ასეთ განაწილებას, პრეტენზია განაცხადეს „ბ" სექტორის დაცვაზე და ერთდროულად უარი სთქვეს „დ" სექტორის დაცვაზე. (საკდესი).

ჰელის განცხადება

ვაშინგტონი, 5 სექტემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა პრეს-კონფერენციაზე შეშფოთება გამოსთქვა იაპონიის მიერ საფრანგეთის ინდო-ჩინეთისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, უპასუხა რა კორესპონდენტთა შეკითხვებს საფრანგეთის ინდო-ჩინეთიდან მიღებული ცნობების თაობაზე, ჰელმა შემდეგი ოფიციალური განცხადება გააკეთა: „მე ყურადღება მივაქციე პრესის ამ ცნობებს, რომელთა შესახებ კვლევა-ძიება სწარმოებს. ეს კვლევა-ძიება გამოარკვევს წაუყენა თუ არა იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ადგილობრივ ხელისუფლებას ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვს ნებართვას ინდო-ჩინეთზე იაპონიის ჯარის გატარების შესახებ, აგრეთვე უფლების მინიჭებას, რომ ინდო-ჩინეთის ბაზები გამოიყენოს ჩინეთის საწინააღმდეგო სამარი ოპერაციებისათვის. უნდა მოგაგონოთ, რომ ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამერიკის მთავრობა და ზოგიერთი სხვა მთავრობანი, მათ შორის იაპონიისაც, სურვილს გამოსთქვამდნენ სტატუსქვო ყოფილიყო დაცული წყნარ ოკეანეში და თანაც სპეციალურად იხსენიებდნენ ჰოლანდიის ინდოეთსა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთს. რადგან საფრანგეთის ინდო-ჩინეთისადმი იაპონიის მიერ ულტიმატუმის წარდგენის ოფიციალური დადასტურება არა გვაქვს, ამერიკის მთავრობას არ უნდოდა ნდობით მოჰკიდებოდა ზემოაღნიშნულ ცნობებს. მაგრამ ამერიკის მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევს ინდო-ჩინეთის საკითხს და ფიქრობს, რომ თუ ამბები ამ ცნობების სისწორეს დაადასტურებენ, ეს არასასურველ გავლენას მოახდენს შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრზე".

შემოქმედებითი მარქსიზმის მაგალითი

(დასასრული)

ლოდ შემოქმედებითი მარქსიზმი არის მუშათა კლასის რევოლუციური და ყოვლისმძლე მოძღვრება.

○

როდესაც 1917 წ. თებერვლის შემდეგ ლენინი და სტალინი გადავიდნენ ოქტომბრის რევოლუციის პრაქტიკულ ორგანიზებაზე, მათ წინააღმდეგ გაილაშქრეს მუშათა კლასის შენიღბულმა გამცემლებმა, რომელთა ნამდვილი სახე შემდეგში სრული მკაფიობით გამოაშკარავდა. ეს იყო იმ ღირსსახსოვარ დღეებში, როდესაც მიმდინარეობდა პარტიის ისტორიული VI ყრილობა, რომელმაც გეზი მისცა პარტიას რევოლუციური აჯანყებისაკენ. ამ ყრილობას ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა.

ტროცკისტები და ბუხარინელები ცდილობდნენ სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორიისათვის დაეპირდაპირებინათ მუშათა კლასისადმი მტრული ხაზი. ტროცკისტი პრეობრაჟენსკი წინადადებას იძლეოდა არ დაგვემხო ბურჟუაზია, არ აგვეღო ხელისუფლება, არამედ დავლოდებოდით პროლეტარულ რევოლუციას დასავლეთში, ვინაიდან რუსეთი თითქოს „მომწიფებული არ იყო" სოციალისტური რევოლუციისათვის.

ამხანაგმა სტალინმა აღშფოთებით უკუაგდო ეს მოღალატური წინადადება. სწორედ მაშინ წარმოსთქვა მან ისტორიული სიტყვები:

„გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სახელდობრ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... საჭიროა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგევარ უკანასკნელის ნიადაგზე" (**VI ყრილობის ოქმები,** გვ. 233-234).

ლენინისა და სტალინის მეცნიერულად დასაბუთებული წინასწარმეტყველება ახდა: სწორედ რუსეთმა პირველმა გაჰკაფა გზა სოციალიზმისაკენ. შემოქმედებითი მარქსიზმის მძლავრმა, ყოვლისმძლე, მსოფლიოს გარდამქმნელმა ძალამ თავისი განხორციელება ჰპოვა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, რომელმაც დასაბამი მისცა პროლეტარული რევოლუციის ერას.

○

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინის მოძღვრების განხორციელება დაკავშირებულია ლენინის ერთგული მოწაფის და თანამებრძოლის, მისი საქმის დიადი განმგრძობის სახელთან, — ამხანაგ სტალინის სახელთან. ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა ლენინის თეორია სოციალისტური რევოლუციისა და გაამდიდრა იგი რევოლუციური ბრძოლის და სოციალიზმის მშენებლობის ახალი გამოცდილებით. განაზოგადა რა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გიგანტური გამოცდილება, ამხანაგმა სტალინმა შეჰქმნა მოძღვრება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. ჩვენი ქვეყანა უკვე შევიდა თავისი განვითარების ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში.

მეცნიერებამ იცის ბევრი დიდი აღმოჩენა, რომელიც ეპოქას შეადგენს კაცობრიობის განვითარებაში. ადამიანებმა სხვანაირად იწყეს ცხოვრება, როდესაც აღმოაჩინეს ორთქლის ძალა, სხვანაირად, — როდესაც აღმოაჩინეს ელექტრობა. მაგრამ ერთ რამეში მათი მდგომარეობა არ იცვლებოდა: მიუხედავად ყველა აღმოჩენისა, მათი უდიდესი უმრავლესობა კვლავ ჩაგრული რჩებოდა.

მხოლოდ ყველა მეცნიერებათა მეცნიერებამ, მარქსიზმ-ლენინიზმმა უჩვენა კაცობრიობას განთავისუფლების გზა. ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება, სოციალისტური რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორია აღაგზნებს მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების გულს, რაზმავს მათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, კომუნიზმისათვის, ადამიანთა ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

კონტრ-ადმირალი გადოვი ომში გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის როლის შესახებ

ბერლინი, 4 სექტემბერი (საკდესი). „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგმა" მოათავსა კონტრ-ადმირალ გადოვის სტატია შემდეგი სათაურით: „სამხედრო-საზღვაო ფლოტი". გერმანიის ომი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ, ნათქვამია სტატიაში, სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალთა ურთიერთმოქმედებით სწარმოებს.

ინგლისის სტრატეგიული სქემა კარგად არის ცნობილი: ჯერ ერთი, ბლოკადა, მეორე—ომი ხმელეთზე მოკავშირეთა დახმარებით და, ბოლოს, ფლანგებიდან დარტყმა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დახმარებით. ინგლისის ბლოკადის აბსოლუტური ეფექტიურობა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მსოფლიო ომის დროს. კერძოდ, ინგლისმა ვერ შესძლო 478.928 ტონა წყალწყვის იმ 84 სავაჭრო გემის დაკავება, რომლებსაც ძვირფასი ტვირთი მიჰქონდათ გერმანიაში. ასევე უშედეგო აღმოჩნდა ინგლისის ცდა დაენაღმა ჩრდილოეთის ზღვის საზღვაო სივრცე შეტლანდიის კუნძულებსა და ნორვეგიას შორის.

ინგლისის ფლოტს, რომელიც 326 სამხედრო გემისაგან შესდგება, გერმანიის ფლოტმა დაუპირისპირა მხოლოდ 3 სახაზო გემი, 6 მსუბუქი კრეისერი, 2 სასწავლო სახაზო ხომალდი, 12 ნაღმოსანი, 2 მძიმე კრეისერი, 22 საესკადრო ნაღმოსანი და რამდენიმე წყალქვეშა ნავი ტრალერებთან და სატორპედო კატარღებთან ერთად. ფლოტების თანაფარდობა შეადგენდა 1:6 ინგლისის სასარგებლოდ. გერმანიის საჰაერო ფლოტის უპირატესობამ საშუალება მისცა მას სავსებით გამოეყენებინა თავისი უფრო ნაკლებ ძლიერი საზღვაო ფლოტი. თავიდანვე აშკარა იყო, რომ ყურადღების ცენტრში იქნებოდა ბრძოლა ინგლისის სავაჭრო ნაოსნობის წინააღმდეგ. ინგლისის მიერ სავაჭრო გემების შეიარაღებასთან და გერმანიის წყალქვეშა ნავებზე თავდასხმის ცდებთან დაკავშირებით, გერმანიის ფლოტმა იწყო მოქმედება ინგლისის სამხედრო ბადრაგით მიმავალი გემების წინააღმდეგ, თუმცა თვით გემები ხშირად ნეიტრალურ ქვეყნებს ეკუთვნოდნენ. ინგლისის ბლოკადის საპასუხოდ გერმანიამ ტოტალური ბლოკადა გამოუცხადა ინგლისს. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა საშუალება მოუსპეს ინგლისს ზუნდისა და სკაგერაკის სრუტეებით შეეზიდნა საქონელი. ატლანტიკაში გერმანიის ჯავშნოსნების ყოფნამ საჭიროდ გახადა ინგლისის ატლანტის ოკეანის ფლოტის გაძლიერება. გერმანიის მხრივ თავდასხმის ყველაზე ბასრ იარაღს ომის დაწყებიდანვე წყალქვეშა ნავები წარმოადგენდნენ. „ივლისის დამლევისათვის ჩაძირული იყო ინგლისის 5 მილიონამდე ტონა სავაჭრო ფლოტი, აქედან 3,7 მილიონი მოსპობილ იქნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალებით და 1,26 მილიონი—გერმანიის საჰაერო ფლოტის მიერ. აგვისტოში ეს ციფრები დაახლოებით 1 მილიონი ბრუტო-რეგისტრული ტონით გადიდდა". ომის დაწყებიდან უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ინგლისის ექსპორტი 40 პროცენტით შემცირდა. ჩაძირულია ბრიტანეთის სამხედრო გემები: ავიამზიდი „კარეიჯესი", სახაზო გემი „როიალ ოკი", მძიმედ დაზიანებულია კრეისერი „რიპალო", ჩაძირულია კრეისერები „ბელფასტი" და „ლონდონი", სახაზო გემი „ბარჰემი" და სხვები.

ნოემბრის დამლევს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალები შეიჭრნენ ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ზონაში და ჩასძირეს იქ ინგლისის დამხმარე კრეისერი „როუალპინდი". დანიისა და ნორვეგიის დაკავების შედეგი იყო ის გარემოება, რომ გერმანელებმა თავიანთი პოზიციები 1.000 კილომეტრით უფრო შორს წასწიეს ატლანტიკაში. ჩრდილოეთ ქვეყნებიდან ინგლისში საქონლის შეზიდვა საბოლოოდ შესწყდა. სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალებმა ახალი, უფრო ხელსაყრელი პოზიციები მიიღეს წარმოებულ ომში. სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ბევრი რამ გააკეთა გერმანიის წარმატების უზრუნველყოფისათვის, თუმცა ეს სრულიადაც არ ამცირებს საჰაერო ფლოტის როლს, რომელმაც უდიდესი ზარალი მიაყენა ინგლისის სამხედრო გემებსა და ტრანსპორტს. შემოდგომისა და ზამთრის ღამეებში საესკადრო ნაღმოსნები და სხვა სამხედრო-საზღვაო ძალები თავს ესხმოდნენ ბრიტანეთის აღმოსავლეთ სანაპიროს. სადარაჯო გემები, სანაღმო ტრალერთა ჯგუფები და წყალქვეშა ნავები სანაპირო არტილერიასა და საჰაერო თავდაცვასთან ერთად იცავდნენ გერმანიის დასაყრდენ პუნქტებს. ავიამზიდთა თვითმფრინავები არა მარტო მზვერავთა როლს ასრულებდნენ, არამედ წყალქვეშა ნავებსაც სძირავდნენ.

საფრანგეთში საომარი მოქმედების დამთავრებისა და ომიდან საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გასვლის შემდეგ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ფლანდრიისა და საფრანგეთის სანაპირო გამოიყენა ინგლისის წინააღმდეგ ბაზების შესაქმნელად. გერმანიის ბლოკადის ეფექტიურობა გაძლიერდა ომის წარმოების ახალ მატერიალურ საშუალებათა მიღების გამო. წყალქვეშა ნავებმა, სატორპედო კატარღებმა და სანაღმო ტრალერთა ჯგუფებმა საჰაერო ფლოტთან ერთად წარმატებას მიაღწიეს ლა-მანშში. ინგლისი იძულებული გახდა დაეხურა ირლანდიის ზღვაში შესავალი, რადგან მის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნავსადგურებს განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარებს.

სამხრეთში ინგლისის დასაყრდენ პუნქტებს და სამხედრო-საზღვაო ძალებს უტევს იტალია.

ომის პირველმა წელმა აშკარად დაგვანახვა საზღვაო და საჰაერო ძალთა კომბინირებული ომის ძირითადი პრინციპის სისწორე.

იაპონიის სამხედრო გეგმები სამხრეთ-ჩინეთში

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ არსებული ცნობების თანახმად, იაპონელები ჰგეგმავენ შეტევას, რაც მათ ვეიჯოუს რაიონში (ჰონკონგის ჩრდილოეთით) უნდა დაიწყონ. შეტევა მიზნად ისახავს ხელთ იგდონ დანშუა და ვეიჯოუ, რომლებიც ჩინეთის ჯარმა დაიბრუნა, აგრეთვე მოსპონ პარტიზანული რაზმები, რომლებიც მდინარე ტუნძიანის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში მოქმედებენ. შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ ბიასის ყურეში ჩავიდნენ იაპონიის გემები. ამავე დროს ჰონკონგის საზღვრის მახლობლად მდებარე რაიონში ჩავიდნენ იაპონიის ახალი დამხმარე ძალები, რომელთა საერთო რიცხვი 10 ათას კაცს უდრის. იაპონიის ორ აეროდრომზე, რომლებიც ამას წინათ ააგეს ნანტოუს მახლობლად, დიდძალი თვითმფრინავი იმყოფება.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
სეზონის გახსნა
10 სექტემბერს 1 აბ. 1 წარმ.
11 სექტემბერს მე 3 აბონ. 1 წარმ.
12 სექტემბერს მე 2 აბ. 1 წარმ
პრემიერა
ს. შანშიაშვილი (ხელოვნ. დამსახ. მოღვაწ ორდენოსანი)
გიორგი სააკაძე
ისტ. დრამა 5 მოქმედებად და 9 სურათად
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12-დან საღ. 9 საათამდე.

დაიწყო აბონემენტების ღირებულების მეორე შემოსატანის მიღება. აბონენტები, რომელთაც 10 სექტემბრის დღ. 2 საათამდე არ ექნებათ გადახდილი აბონემენტის მეორე შემოსატანი, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.
3—1 150 დირექცია.

საბჭოთა ვაჭრობის დაუსწრებელი ინსტიტუტის საქართველოს
ფილიალი კეცხოველის ქ. № 1ა-დან
გადავიდა მარის ქ. № 42-ში (საქ. აღრიცხვის ტექნიკუმის შენობაში) ტრამვაი № 5.

ინსტიტუტში შემსვლელთა განცხადებების მიღება გაგრძელებულია 15 სექტემბრამდე. გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 სექტემბრამდე, ჩარიცხვა 1 ოქტომბრამდე.

მუშაობა სწარმოებს საღ. 5-დან 12 საათამდე,
140 ფილიალის დირექტორი დოც. ნ. ნოზაძე.

მიღების პირობები 1940-41 სასწავლო წელს
ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამ. საფერშლო
სკოლაში მიღება გაგრძელებულია

სკოლაში მიიღებენ 15-დან 35 წლამდე ასაკისას, რომელთაც დამთავრებული აქვთ შვიდწლედი

გამოცდები იწარმოებს: 1. ქართულ ენაში, 2. არითმეტიკაში, 3. ალგებრაში (ზეპირი და წერითი), 4. გეომეტრიაში, 5. სსრკ კონსტიტუციაში.

უგამოცდოდ მიიღებენ იმათ, ვისაც დამთავრებული აქვს 10-წლედი, მუშფაკი და ტექნიკუმი, აგრეთვე მოწაფეებს 8, 9 და 10 კლასებიდან, 7-წლედ დამთავრებულ ფრიადოსნებს.

სწავლის ვადა—სამი წელი. სწავლა საღამოს საათებში, სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 70%, ხოლო ბინით 20%. განცხადებები მიიღება საღამოს საათებში 6-დან 9 საათამდე.

საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ჯანმრთელობის მოწმობა, 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი.

მისამართი: თბილისი, ახოსპირელის ქ. № 6, კიროვის რაიონი აბას-აბადის მოედანთან, მე-21-ე საშუალო სკოლის შენობა.
1148 სკოლის დირექცია.

მყინვარწვერზე

სადგური ყაზბეგი. 6 სექტემბერი („კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან) 4 სექტემბერს, დილის 4 საათზე დევდორაკის ზემო ბანაკიდან გამოვიდა ალპინიადის პირველი რაზმეული და ცხრის ნახევარზე მივიდა მყინვარწვერის ძირში.

მეორე რაზმეული მაღალმთიან მეტეოსადგურიდან გამოვიდა დილის ექვსის ნახევარზე და 9 საათზე მივიდა მყინვარწვერის ფირნის ველზე.

ორივე რაზმეული ერთად შეუდგა მყინვარწვერის შეტევას. წინ მიდიოდა პირველი — დევდორაკის რაზმეული, მას თან მიჰქონდა ამხ. სერგეი მირონის-ძე კიროვის 24-კილოგრამიანი ბიუსტი, რომელიც შუადღის 12 საათზე დადგმულ იქნა მყინვარწვერის უმაღლეს წერტილზე.

მყინვარწვერზე ამინდი მზიანი იყო, ჰქროდა საშინელი ქარი, რომლის სისწრაფე 30 მეტრამდე აღწევდა წამში, ჰაერის ტემპერატურა კი მწვერვალზე ასვლის მომენტში იყო მინუს 11 გრადუსი. მწვერვალებიდან მონაწილენი თითქმის 30 წუთის განმავლობაში გადაჰყურებდნენ გარშემო ძირს მდებარე არე-მარეს, რომელიც ნისლში იყო გახვეული.

დილის სამ საათზე პირველი რაზმეული ჩავიდა მეტეოსადგურში. მეორე რაზმეულმა იმ დღეს განვლო ძლიერ დიდი მანძილი, რადგან მოუხდა მეტეოსადგურიდან მყინვარწვერზე ასვლა და იქიდან კი დევდორაკის ქვემო ბანაკამდე ჩასვლა. მთელი ეს მანძილი მეორე რაზმეულმა განვლო 16 საათის განმავლობაში. მეორე რაზმეულის რამდენიმე წევრმა მყინვარწვერზე ასვლაში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან ალპინიადას არ ჰქონდა საკმარისი საჭურველი.

5 სექტემბერს ამ დარჩენილმა ჯგუფმა მოახდინა მყინვარწვერზე ასვლა.

იმავე დღეს, 1 საათზე ორივე რაზმეული ერთდროულად ჩამოვიდა სადგურ ყაზბეგში და გაშალა კარვები ძველ ადგილზე. ალპინიადის მონაწილეთა დაახლოებით 95 პროცენტმა დაიპყრო მყინვარწვერი. დანარჩენებმა კი ორწვერი, რითაც ყველას ეძლევა საშუალება თეორიული საგნების ჩაბარების შემდეგ მიიღონ „სსრ კავშირის ალპინისტის" პირველი საფეხურის ნიშანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ორმხრივი სვლის გზით მყინვარწვერის დაპყრობა პირველია. ალპინიადის უფროსის ამხ. სანდრო გვალიას მიერ შემუშავებული თეორიული გეგმა ოდნავადაც არ დარღვეულა.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს მონაწილეთა შორის უდისციპლინობის ცალკეული შემთხვევები და ზოგიერთი გამყოლის ცუდი შერჩევა. უნდა აღინიშნოს ალპინიადის უფროსის ამხ. სანდრო გვალიას კარგი ორგანიზაციული ღონისძიებანი და უფროსი ინსტრუქტორის ამხ. ვალიკო კეთილაძის ენერგიული მუშაობა.

მაშველი ჯგუფებიდან აღსანიშნავია დავით ფურცელაძის და შალვა ბათიანის კარგი მუშაობა. საუკეთესო გამყოლი იყო ვახტანგ ხუციშვილი, რომელმაც მყინვარწვერიდან ჩამოსვლის მეორე დღეს ჯგუფი წაიყვანა ორ წვერზე და იმავე დღეს ჩამოიყვანა სადგურ ყაზბეგში.

მადლობა უნდა გამოეცხადოს ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოსადგურის თანამშრომლებს, რომლებმაც თავისივე სურვილით მიიღეს მონაწილეობა ალპინიადაში და დახმარება გაუწიეს მეორე რაზმეულს მყინვარწვერზე ასვლაში. 7 სექტემბერს მონაწილენი გამოემგზავრებიან თბილისისაკენ.

ვ. ახმეტელი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი

ა. წ. 9 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, კომბინატ „კომუნისტის" (ლენინის ქ. № 28) სხდომათა დარბაზში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. **ორჯონიკიძის რაიკომის მორიგი IV პლენუმი.** შემდეგი დღის წესრიგით:

1. რაიონის კომუნალური მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.
2. ანგარიში 1940 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

პლენუმის ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატის, აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრების დასწრება აუცილებელია.

რაიკომის მდივანი პ. მჭედლიძე.

სასამართლო

სახელმწიფო ქონების მტაცებელთა ჯგუფი

1939 წლის სექტემბერში „სამტრესტის" № 2 ღვინის ქარხნის მზა ნაწარმის საწყობის შემოწმებისას საწყობში 145.026 მანეთის ღირებულების მზა ნაწარმის დანაკლისი აღმოჩნდა. ერთი თვის შემდეგ ხელმეორედ ჩატარებულმა რევიზიამ დამატებით 50.469 მანეთის საქონლის დანაკლისი აღმოაჩინა.

სახელმწიფო ქონების მტაცებელთა ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდნენ: საწყობის ყოფილი გამგე ნიკიფორე ესეს-ძე გორგილაძე, ქარხნის ყოფილი მთავარი ბუხჰალტერი სერგო ლუარსაბის-ძე რამიშვილი, ყოფილი ბუხჰალტერი რეალიზაციის დარგში ალექსანდრე ლეონიდეს-ძე პაშკანგი, ქარხნის შემფუთველი საამქროს უფროსი მუშა ვასილ ივანეს-ძე ბილანიშვილი, „სამტრესტის" № 1 მაღაზიის ყოფილი დირექტორი მანუელ მელიტონის-ძე ლანდია, „სამტრესტის" № 1 მაღაზიის სექციის გამგე ლეონტი აკაკის-ძე ღვამიჩავა, ქარხნის ყოფილი დარაჯი ლავრენტი სოლომონის-ძე გოგობერიძე, „სამტრესტის" № 1 მაღაზიის ყოფილი პასუხისმგებელი გამყიდველი დომენტი მარკოზის-ძე რუხაია, „საქკონსერვგასაღების" № 2 მაღაზიის ყოფილი გამგე გიორგი ბაღდოს-ძე ფირანიშვილი, ქარხნის ყოფილი ბუხჰალტერი რეალიზაციის დარგში ბიქტორ მიხეილის-ძე ფხაკაძე, „საქკონსერვგასაღების" № 2 მაღაზიის პასუხისმგებელი გამყიდველი ვალერიან პავლეს-ძე ხომასურიძე და თბილვაჭრობის № 149 მაღაზიის ყოფილი გამგე შალვა ესტატეს-ძე წურწუმია, — „სამტრესტის" № 2 ღვინის ქარხნიდან გაიტაცა 196.269 მანეთის ღირებულების ღვინო. (ამ თანხაში შედის 774 მან., რომელიც ნ. გორგილაძემ მიითვისა).

ქარხნის ყოფილმა მთავარმა ბუხჰალტერმა რამიშვილმა, რეალიზაციის დარგის ბუხჰალტერმა პაშკანგმა, საწყობის გამგე გორგილაძემ, შემფუთველი საამქროს უფროსმა მუშამ ბილანიშვილმა წინასწარი შეთანხმების ნიადაგზე თავის გარშემო შემოიკრიბეს კომბინატორები და სახელმწიფო ქონების მტაცებლები, რომლებიც საწყობიდან ღვინის გაცემის შემდეგ საშვებთან ერთად სპობდნენ ყოველგვარ საბუთებს, მათ მოსპეს საწყობიდან გაშვებული ღვინის აღრიცხვის წიგნი, რამიშვილმა არია ბუხჰალტერია, ის სპობდა ღვინის გაცემის ყველა ფაქტურასა და დოკუმენტებს, რომ ამით ბოროტმოქმედების კვალი დაეფარა.

ბოროტმოქმედნი შეიპყრეს.

ყველანი წარსდგნენ საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე.

სახელმწიფო ქონების მტაცებელთა და კომბინატორთა ჯგუფის საქმეს არჩევდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ამხ. ი. ეფრემიძის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორ ჭელიძის მონაწილეობით.

სასამართლო პროცესზე დადასტურდა ბრალდებულთათვის წაყენებული ყველა ბრალდება. ისინი ნაწილობრივ გამოტყდნენ დანაშაულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მიუსაჯა ნ. ე. გორგილაძეს, ს. ლ. რამიშვილს, ა. ლ. პაშკანგს და ვ. ი. ბილანიშვილს—თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით, სასჯელის მოხდის შემდეგ თვითეულ მათგანს ხუთ-ხუთი წლით აეყარათ სამოქალაქო უფლებები: მ. მ. ლანდიას—თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით სამოქალაქო უფლებების აყრა; ლ. ა. ღვამიჩავას — თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით სამოქალაქო უფლებების აყრა; ლ. ს. გოგობერიძეს და დ. მ. რუხაიას — თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით, სასჯელის მოხდის შემდეგ თვითეულს თითო წლით აეყარა სამოქალაქო უფლებები; ბ. მ. ფხაკაძეს და გ. ბ. ფირანიშვილს — თავისუფლების აღკვეთა ორ-ორი წლით, სასჯელის მოხდის შემდეგ თითო წლით სამოქალაქო უფლებების აყრით; შ. ე. წურწუმიას თავისუფლების აღკვეთა 1½ წლით და ვ. პ. ხომასურიძეს—ერთი წლით.

მ. სურგულაძე.

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს" გამარჯვება

6 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის დინამოს სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ კიევისა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდები. მატჩი დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით ანგარიშით 6:1.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

შვილები ალექსანდრა და ნინო ქლენტები იუწყებიან დაუვიწყარი დედის
ეკატერინე ნიკოლოზის ასულის ქლენტის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8 და 9/IX 8 ს. დაკრძალვა 10/IX 6 ს. ძნელაძის ქუჩა 18.

როზეტა, ნინო, ია წივწივაძეები, პარმენ, ემზარ ქანთარიები იუწყებიან სიძის და ბიძის
ნიკო შაფაქიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 8/IX 1 ს. ჩიტაძის, 9. 7744

ილია ბერიძე, გ. ნორაკიძე, დ. თევდორაშვილი, თ. ნადარეიშვილი ცოლშვილით იუწყებიან შიო მაჭარაძის შვილის
პატარა ირაკლის (ბეხუ)
გარდაცვალებას. 7745

მეუღლე თამარ, შვილები მარო, ლენა, ძმა არტემ, და ნინო და სიძეები იუწყებიან, რომ 8/IX 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
სერგო ივანეს-ძე არსენიშვილის
პანაშვიდი. 7749

ილია, დავით, ეჟენია, რაიმონდ, ელიკო მაჭავარიანები იუწყებიან
ანა ასლანის-ასულ ამირხანაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/IX ს. მცხეთაში. 7750

ვანო შაფაქიძე იუწყება ძმის, დამსახურებული მასწავლებლის
ნიკო ივლიანეს-ძე შაფაქიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 8/IX 1 ს. ვაკის სასაფლაოზე, პანაშვიდი 7/IX 7 ს. ჩიტაძის, 9. 7748

ქმარი გრიშა, შვილები ციალა, ლია, დედამთილი ოლღა, მამამთილი კონსტანტინე, მულები და მაზლები ოჯახებით იუწყებიან
მანია ჯლარკავა-ხონელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/IX. აბაშის რ. პირველი მაისის თემში. 7753

ბებია მაშიკო, ბიძები კოტე, ალიოშა, სერგო, ბიცოლები მარგო და მარო მაჭარაძეები იუწყებიან
ირაკლი შიოს-ძე მაჭარაძის
გარდაცვალებას, 7743

და ალექსანდრა კანდელაკისა შვილებით და რძლებით, რძალი ლიზა აბაშიძისა შვილებით, სიძეებით და რძლით, ძმა ვანო მეუღლით იუწყებიან საყვარელი ძმისა და მაზლის
აპოლონ ივანეს-ძე აბაშიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. წულუკიძეში.

მაყაშვილი, ილაშვილი, ციციკოვა, სუხიაშვილი, მ. მიხაილოვა, უ. მიხაილოვა, ვ. მიხაილოვი, ქორჩილავა, ქუთათელაძე, მაჭარაშვილი, ფალაიანდიშვილი, ჯაფარიძე, ბარზილოვი იუწყებიან ექ. ნიკო აბაშიძის მამის
აპოლონ ივანეს-ძე აბაშიძის
გარდაცვალებას. 7751

შვილები ვალიკო, მიშა, რუსიკო, მარგო, რძალი გოგუცა, მაზლი იოსებ ცოლშვილით ამირხანაშვილები, აღმზრდელი სონა ბარნაბიშვილი იუწყებიან
ანა ამირხანაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/IX მცხეთაში. 7746

უახლოესი მეგობარი იროდიონ გერასიმეს-ძე უჯულავა ძმებით, დიდ თანაგრძნობას უცხადებს ავთანდილ ჭლიკაძეს მისი დედის
ქრისტინე (ალმასო) ჭლიკაძის
გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 7/IX 7 ს. გამოსვენება 8/IX მსროლელთა, 13. 7747

ჩილ-აკოფიანი, ბასილიანი, არუთინოვი, მოსიევი, ქლენტი, ვეკმანი, სერებრიანსკი, ლაზარია, ბერიშვილი, ნათაძე, ავეტისოვა, კაკაბაძე იუწყებიან იოსებ ხარებავას ძმის
სიმონის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში. 7752

აგრაფინა და ეკატერინე მიქაძეები, დავით და კონსტანტინე კიკაბიძეები, რუსუდან, დარეჯან, ოთარ, ციცინო ჩიჩუები ოჯახებით იუწყებიან
კირილე ჯავახიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/IX ცხაკაიაში. 7754

მშობლები შალიკო, მარო, პაპა ნიკო, ბებია თამარ, მამიდა მარო მირიანაშვილები იუწყებიან
დიანას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/IX 7 ს. გრიბოედოვის, 4 გამოსვენება 8/IX 4 ს. ვაკის სასაფლაოზე. 7755

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—8—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 8—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—8—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 8—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 8—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 8—80—88, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—8—80—84, წერილების—8—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—8—81—65, გამომცემლობის—8—51—81, სტამბის დირექტორის—8—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 1157